ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## „ირაკლი სესიაშვილზე ზეწოლა ხორციელდება“

გია ვოლსკი: „ნდობის ჯგუფის წევრებში უშიშროებამ ღრმად უნდა ჩაიხედოს“



გვ.5

შაბათი – კვირა, 26 – 27 ნოემბერი, 2016 №281 (7206) ფასი: 50 თეთრი

# მღებრიშვილი კახიძეს: „რა ვქნა, დავიგინო თუ დავიფიცო?“



„რაც შეეხება სტატისტიკას და კრიმინალის ზრდას, ბატონმა ოთარმა მე გამახსენა შარშანდელი. მე შარშან თქვენ გითხარით, რომ მძიმე დანაშაულის ნაწილში რამოდენიმე ერთეულით არის გაზრდილი კრიმინალი, იყო ასე ხო? შარშან გითხარით მე თქვენ“

გვ.3



## პრემიერი ვიქტორ დოლიძის წინააღმდეგ



გვ.2

## ირმა ინაშვილი: „მიხეილ გიორგაძე და გიგლა აგულაშვილი ციხეში მოხვდებიან“



გვ.2



პატრიოტთა ალიანსი განახლებულ მთავრობას მხარს არ უჭერს

## სოსო ცისკარიშვილი: „ვიცე-პრემიერი რა საჭიროა, ვერ გავიგე“



გვ.3

## კახა კუკავა: „ქართული ოცნების“ რღვევა 2 წლის შემდეგ დაიწყება“



გვ.4

რატომ ვერ ერთიანდება არასაპარლამენტო ოპოზიცია

## თამარ ჩხეიძე: „პატრიოტთა ალიანსი ნამდვილი ოპოზიცია არაა“



გვ.4

„არჩევნების შეფასება აუცილებელია“

ISSN 1987-9385

9 771987 938006

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირმა ინაშვილი: „მიხეილ გიორგაძე და გიგლა აგულაშვილი ციხეში მოხვდებიან“

## პატრიოტთა ალიანსი განახლებულ მთავრობას მხარს არ უჭერს

შორენა მარსაგიშვილი

ნდობის გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე, 25 ნოემბერს, მინისტრობის კანდიდატები პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის თამადობით დეპუტატების წინაშე წარდგნენ.

ნაციონალები რა ეპითეტებითაც შეამკობდნენ ნდობაგამოსაცხადებელ მთავრობას, ყველამ იცოდა, აი, დებიუტანტი პატრიოტთა ალიანსის სტრატეგია კი არავინ იცოდა. პარლამენტში მოხვედრილი პატრიოტებიდან თავისი პოზიცია ყველამ დააფიქსირა, მთავარი სათქმელი კი ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა თქვა, რომელმაც, როგორც იტყვიან, მთავრობის წევრებს ქორივით ჩაუქროლა.

მისგან ყველაზე დიდი რისხვა თავს კულტურის და გარემოს დაცვის მინისტრობის კანდიდატებს დაატყდათ.

პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი ვარაუდობს, რომ ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც მიხეილ გიორგაძე გისოსებს მიღმა აღმოჩნდება.

— მე გარწმუნებთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ აგებთ პასუხს ამის გამო, საყდრისის დანგრევის გამო და როცა ციხეში მოხვდებით, ბატონო მიშა, მაშინ ბევრი დრო გექნებათ იფიქროთ, სწორად მოიქეცით თუ არ მოიქეცით, როცა იმ ბრძანებულებას მოაწერეთ ხელი, — ასე მიმართა ირმა ინაშვილმა კულტურის მინისტრობის კანდიდატს.

საყდრისის გარდა, ინაშვილი გიორგაძის პასუხისმგებლობის საკითხს მუზეუმებთან დაკავშირებითაც აყენებს.

— თითქმის ყველა საცავსა და მუზეუმში მძიმე ვითარებაა, თუმცა ამ საკითხით გიორგაძე არ ინტერესდება, — აღნიშნა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

რაც შეეხება გარემოს დაცვის მინისტრს, გიგლა აგულაშვილის და ალიანსელების ომი შარშან დაიწყო. საგარეჯოში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში ინაშვილის კონკურენტი რესპუბლიკელი თამარ ხიდაშელი იყო. მას მხარს ღიად უჭერდა აგულაშვილი, რომელიც იმჟამად ჯერ ისევ რესპუბლიკელობდა. პატრიოტთა ალიანსმა ის არაერთხელ დაადანაშაულა არჩევნების გაყალბებაში.

საგარეჯოს არჩევნები ექსრესპუბლიკელს ინაშვილმა უკვე ვიცე-სპიკერის რანგში შეახსენა და ის რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობაშიც დაადანაშაულა.

— თქვენნაირი მინისტრი იმიტომ არ უნდა ჰყავდეს ამ ქვეყანას, რომ თქვენ დადიოდით გაშლილი ლეპტოპით ხელში იორმუღანლოს სოფლებში, ატყუებდით უსინდისოდ იქაურ მცხოვრებლებს, ეუბნებოდით, რომ ირმა ინაშვილმა ღორის თავი დაკიდა მეჩეთზე.



დიახ, დიახ, ამას ამბობდით და უამრავი მოწმე მყავს და მიზანმიმართულად აღვივებდით რელიგიურ შუღლს, — მიმართა მინისტრობის კანდიდატს ვიცე-სპიკერმა.

მან აგულაშვილს სხვა პრეტენზიებიც წაუყენა. დეპუტატის განცხადებით, მძიმე მდგომარეობაა და ნადგურდება ხე-ტყის მასივები ბორჯომსა და კახეთში.

— თქვენ წინასაარჩევნოდ გარკვეულ პირებს აძლევთ ხოლმე უფლებას, უპრაგონოდ ჭრან ხე-ტყე და ხმა მისცენ თქვენთვის სასურველ კანდიდატებს. ჯერ რესპუბლიკური პარტიიდან და მერე გადასკუპდით „ოცნებაში“ და ახლა „ოცნების“ კანდიდატებს ეხმარებოდით. შეკითხვაც არა მაქვს თქვენთან, უბრალოდ, გპირდებით, რომ პასუხს აგებთ, — მიაკივლა ინაშვილმა აგულაშვილს.

მის რისხვას ბოლომდე ვერც კომბლეფობი ალექსანდრე ჯეჯელავა გადაურჩა. დეპუტატი ამბობს, რომ განათლების სისტემაში უმძიმესი ვითარებაა.

ინაშვილს ისიც აინტერესებდა, თუ რას გეგმავს ჯეჯელავა განათლების სისტემაში და იქნება თუ არა შენარჩუნებული განათლების ქართულ სისტემაში ეროვნული ღირებულებები. ამასთან, ის მინისტრობის კანდიდატის მიერ შეურაცხყოფილ ზღაპრის პერსონაჟებსაც გამოეხმაურა.

— არ ვიცი, რა არის ნეგატიური ქართულ ზღაპრებში და ცოტა უხერხული იყო თქვენი მხრიდან ქართული ზღაპრების ამ სტილში რევიზია. იმის მაგივრად, რომ ჩვენ ახალ თაობას ვუნერგავდეთ ჩვენი ქართული ზღაპრების სიყვარულს და ჩვენი ეროვნული გმირების თუ ისტორიული პერსონაჟების სიყვარულს, სამწუხაროდ, გამოვდივართ და ამ ყველაფერს ვაკნინებთ, რაც ძალიან ცუდია.

დღეს არის უმძიმესი ვითარება. ახალი თაობა ველარ არკვევს, ვინ იყო ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი. სკოლის მოსწავლეებს არ სჯერათ, რომ არსებობდა ცოტნე დადიანი. მთავარი მიმართულება უნდა იყოს არა დაცინვა და გაქილიკება ჩვენი ეროვნული ფასეულობების, გმირების, ზღაპრების, ისტორიული მოვლენების თუ პერსონაჟების, არამედ მათი წარმოჩენა და თაობების გაზრდა ამ ეროვნულ ღირებულებებზე, — განაცხადა ინაშვილმა.

პატრიოტთა ალიანსის გენერალურმა მდივანმა ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატიც დაიწუნა, წარსული გაუხსენა და სიმართლის თქმისკენ მოუწოდა.

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ იყავით ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი შემომწირველი, თქვენ ეს არ დაადასტურეთ და განაცხადეთ, რომ არც ერთი პარტია არასდროს დაგიფინანსებიათ, მაგრამ ფაქტებს ვერ გაექცევით, ზუსტი მტკიცებულება გავრცელდა მედიაში. კარგი



იქნება, აქ მაინც გვითხრათ, აფინანსებდით თუ არა ამ პარტიას.

ის კი არ არის ტრაგედია, თქვენ ნაციონალურ მოძრაობას აფინანსებდით თუ არა, „ქართული ოცნების“ დეპუტატებს შორისაც არიან ისეთები, რომლებიც 2012 წელს ნაცმოძრაობას აფინანსებდნენ, საინტერესო სწორედ ის არის, რომ 2012 წელს კიდევ შემოწირულობას აძლევთ ნაციონალურ მოძრაობას, როცა მთელი საზოგადოება კონსოლიდირებულია რეჟიმის წინააღმდეგ. თქვენ ამას ცინიკურად უარყოფთ. მე გირჩევდით, რომ თუ თქვენ მინისტრობა გინდათ, ტყუილით ნუ დაიწყებთ. ჯობია, გამობრძანდეთ და თქვათ, რომ დიახ, აფინანსებდით, ან გაძალებდნენ და გატერორებდნენ, ან უბრალოდ ის, რომ თქვენი არჩევანი იყო და არა — ტყუილი. ამიტომ ვერ გენდობით, რადგან თქვენ ტყუილით იწყებთ კარიერას თანამდებობის პირის რანგში, — აღნიშნა ვიცე-სპიკერმა.

გამოსვლის დასასრულს ალიანსის გენერალურმა მდივანმა კვირიკაშვილის გუნდს პირობა მისცა, რომ მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებს.

# პრემიერი ვიქტორ დოლიძის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრი ვიქტორ დოლიძე ჯერ მინისტრად არ აურჩევიათ და უკვე სკანდალში აღმოჩნდა გახვეული. სკანდალში ის კაბელების საქმემ ჩაითრია. 2014 წელს თავისუფალმა დემოკრატებმა სწორედ ამ საქმის გამო დატოვეს კოალიცია „ქართული ოცნება“.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე თავდემები სულ ამ საქმეზე აპელირებდნენ. არჩევნების შემდეგ კი დაკავებული თანამებრძოლებისთვის პარტიის ლიდერებს აღარ ეცალათ. ირაკლი ალასანია საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან, დანარჩენმა ლიდერებმა კი პარტია დატოვეს. ერთ-ერთმა მათგანმა ვიქტორ დოლიძემ მინისტრობის შეთავაზება მიიღო.

ბუნებრივია, ყველას გაუჩნდა კითხვა, თუ როგორ იმუშავებდა იმ მთავრობაში, რომელსაც 2 წლის მანძილზე თანამებრძოლების უკანონო დაპატიმრებაში სდებდა ბრალს.

ეს კითხვა მას რამდენიმე დღის წინ პარლამენტში საკომიტეტო მოსმენის დროსაც დაუსვეს.



— როგორც ადრე ვამბობდი, ახლაც იგივეს ვიმეორებ — კაბელების საქმეზე პირების დაპატიმრება იყო წინა პრემიერის პერიოდში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება. კაბელების საქმე და იმ ხუთი ადამიანის დროულად გათავისუფლება, ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. ვფიქრობ, აქედან უფრო მეტის გაკეთებას და მხარდაჭერას შევძლებ, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მინისტრობის კანდიდატის განცხადებას „ქართულ ოცნებაში“ საკმაოდ მწვავე რეაქციები მოჰყვა. უკმაყოფილო დარჩა პრემიერმინისტრობის მოვალეობის შემსრულებელიც.

გიორგი კვირიკაშვილმა თავდემებიდან გადმობარგებული მინისტრობის კანდიდატის განცხადებას სიცრუე უწოდა. ამასთან, იქვე შეეცადა აეხსნა, თუ რატომ მოუვიდა დოლიძეს ასეთი იაღლიში.

— ეს არ არის სწორი განცხადება, რაც გინდა ემოციური დამოკიდებულება ჰქონდეს ვიქტორ დოლიძეს ამ საკითხთან დაკავშირებით. მას არავინ სთხოვს პროკურატურის პოზიციის დაცვას, მაგრამ მინიმუმ, მეორე მხარეს არ უნდა გააკეთოს კომენტარები, მით უფრო, რომ ამ კომენტარს სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენ ვენდობით ინსტიტუციებს, რომლებიც დღეს ქვეყანაში მოქმედებენ და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არავითარ შემთხვევაში არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს არც დღეს და არც გასული 4 წლის განმავლობაში, არც ერთ მომენტში ეს ასე არ ყოფილა, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ირმა ნადირაშვილი ვიქტორ დოლიძეს: „თქვენი პოლიტიკური კარიერა დასრულებულია“



ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილმა ვიქტორ დოლიძემ საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას თავი შეიკავა, პასუხი გაეცა დეპუტატ ირმა ნადირაშვილის კითხვისთვის, არიან თუ არა დღეს საქართველოს ციხეებში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პატიმრები.

დოლიძემ აღნიშნული კითხვის პასუხად ის განაცხადა, რომ ამაყია პოლიტიკურ პატიმრებთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ 2012 წელს მიღებული აქტით, რომელსაც პირადად მანაც დაუჭირა მხარი.

— პოლიტიკაში მოსვლას საერთოდ არ ვაპირებდი. პოლიტიკაში რვა წლის წინ მოვედი, რადგან მოძალადე და ბოროტ რეჟიმს შევებრძოლე და ეს საქმე ბოლომდე მივიყვანე, მათ შორის იმ უმრავლესობასთან ერთად, რომელიც დღეს აქ არის. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი. დანარჩენ თემებთან დაკავშირებით მე კომენტარი გაკეთებული მაქვს. რაც შეეხება პოლიტიკურ პატიმრებს, ამაყი ვარ, რომ იმ აქტს, რომელიც პარლამენტმა 2012 წელს მიიღო, მეც მივაჭირე ხელი. მაშინ ბევრი პოლიტიკური პატიმარი გამოვიდა, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ ირმა ნადირაშვილის შეკითხვის პასუხად.

ნადირაშვილმა დასმული კითხვა დოლიძეს რამდენჯერმე შეუბრუნა და მას შემდეგ, რაც პასუხი ვერ მიიღო, მიმართა, რომ ამით მისი პოლიტიკური კარიერა დასრულდა.

— ბატონო ვიქტორ, ყველაფერს აქვს თავისი ფასი — თქვენი პოლიტიკური კარიერა, ჩემი აზრით, ამით არის დასრულებული, რადგან ხუთი ადამიანი დღეს თქვენ გამო ზის ციხეში. ამას აქვს სხვა ფასიც — თქვენ უკან ზის ერთი ადამიანი, მიხეილ გიორგაძე, რომელმაც ასეთივე სამარცხვინო პასუხი გამცა გიგი უგულავაზე, მაგრამ ბევრი ფული წაიღო სახლში, — მიმართა დოლიძეს ნადირაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცისკარიშვილი: „ვიცე-პრემიერი რა საჭიროა, ვერ გავიგე“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მინისტრთა კაბინეტში განხორციელებულ ცვლილებებსა და მინისტრობის კანდიდატებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, მინისტრთა კაბინეტი პარლამენტის ნდობისთვის ემზადება. რას იტყვით წარმოდგენილ კანდიდატებზე?***

– რეალურად მთავრობის მხოლოდ 10% შეიცვალა, ამდენად, მინისტრთა კაბინეტის ცვლილებაზე საუბარი ხმამაღალი ნათქვამია. საზოგადოებისთვის ყოფილი მთავრობის ხელახლა შეთავაზება შეიძლება ვინმეს ეფექტურად მიაჩნია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებისა და მთავრობის დამკომპლექტებელი პირების ხედვა სხვადასხვაა.

ჩვენი საზოგადოება არ ყოფილა აღტაცებული ყოფილი მთავრობის საქმიანობით, მაგრამ სტაბილურობის განცდა ნამდვილად იყო.

ამ ცვლილების დროს ვფიქრობდი, რომ ვიცე-პრემიერის ინსტიტუტი გაუქმდებოდა. ჩემთვის კვლავ ამოუხსნელი რჩება, რა საჭიროა ეს ინსტიტუტი თუ ის ისევ ფიქცია იქნება.

***– რატომ არის ფიქცია?***

– პირველი ვიცე-პრემიერი გახლავთ უკვე ფინანსთა მინისტრი, რომელსაც იმდენად დიდი საქმე აქვს, რომ რთულია, დამატებით შეითავსოს ვიცე-პრემიერის პოზიცია. ეს უფრო რევერანსია, ვიდრე რეალობით გამოწვეული აუცილებლობა. არც ერთი მთავრობის სხდომა არ გამართულა, რომელსაც ვიცე-პრემიერი წარუძღვებოდა.

***– შეიძლება აქამდე არ დადგა ეს საჭიროება, ან პირველი ვიცე-პრემიერი მაშინ ცვლის პრემიერს, როდესაც ის ქვეყანაში არ იმყოფება.***

– ფაქტია, რომ როდესაც პრემიერი საზღვარგარეთ არის ვიზიტით ან გარკვეული მიზეზით ვერ მიდის სამსახურში, ასეთ ვითარებაში ჩატარებულა მთავრობის სხდომა. ეს ფუნქცია ეფემერულია და გარკვეული ჯილდოს დატვირთვის მატარებელი.

***– ამ ინსტიტუტის არსებობის აზრს ვერ ხედავთ?***

– მე ვამბობ, რომ ყოველგვარი დამატებითი ფუნქციის, მინისტრის პორტფელის გარეშე უნდა იყოს ვიცე-პრემიერი თუ იქნება. ვიცე-პრემიერმა უნდა გადაწყვიტოს გარკვეული წვრილმანები, ის უნდა იყოს ერთგვარი რგოლი სამინისტროებთან მუშაობაში. ამ შემთხვევაში ვიცე-პრემიერის ფუნქცია და დანიშნულება უფრო გარკვეული და მისაღები იქნება.

***– მთავარი გამოწვევა, რის წინაშეც დადგება ეს კაბინეტი, რა არის? ჩვენ ვნახეთ, რომ პრემიერმა სწორედ ეკონომიკური გუნდის გადახალისება გადაწყვიტა, რატომ? ლარის კურსი იყო მთავარი მიზეზი?***

– ეკონომიკის ყოფილი მინისტრი წარმოგვიდგინეს, როგორც ფინანსთა მინისტრობის კანდიდატი, რომელიც გახდება კიდეც მინისტრი, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, ეს მისი დაწინაურებაა თუ დაქვეითება. ბატონმა ქუმსიშვილმა გვითხრა, რომ ლარის კურსი მოკლე პერიოდში არ არის აქტუალური და ხანგრძლივი პერიოდის გათვალისწინებით უნდა იყოს ლარის გაძლიერებაზე საუბარი.

***– გიორგი კვირიკაშვილმა არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო და მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანა ერთ დროს ოპოზიციონერი ვიქტორ დოლიძე. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– ჩემთვის ყველაზე იმედისმომცემი გახლავთ ის ფაქტი, რომ მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ პირველად, სახელმწიფო ინტერესი პარტიულ ინტერესზე ამაღლდა. ასევე, პროფესიონალიზმს მიეცა გაქანება. თუ მომავალშიც მოხდება მსგავსი ფაქტი, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება.

# მღებრიშვილი კახიძეს: „რა ვქნა, დავიგინო თუ დავიფიცო?“

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალების და საოცნებო მთავრობის შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ ფორმატში წარიმართა. საპარლამენტო უმცირესობა ყველანაირად შეეცადა, მინისტრობის კანდიდატები კუთხეში მიეყენებინა. პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა და მისმა გუნდმა ნაციონალების შემოტევებს კარგად გაუძლეს და ხშირ შემთხვევაშიც იქით გადადიოდნენ შეტევაზე.**





საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა. რომელსაც ნაცმოძრაობის ახალმა სახემ ლამის სისხლი გაუშრო. მისი თავდასხმის ობიექტი პრემიერის მოვალეობის შემსრულებელიც გახდა. ეს უკანასკნელი ისე გადაირია, რომ იძულებული გახდა, აკაკი ბობოხიძისთვის გაეგზავნა შეტყობინება.

ნაცმოძრაობის ახალგაზრდა ლიდერი იმის გამო იყო აღშფოთებული, რომ ხელისუფლება დანაშაულის სტატისტიკას არ აქვეყნებდა. გაწიწმატებული დეპუტატის დასაშოშმინებლად პრემიერმა ბობოხიძეს გაუგზავნა ბმული, სადაც, მისი თქმით, დანაშაულის სტატისტიკა იყო მოცემული.

– კახიძის ტელეფონის ნომერი არ მაქვს, აკაკი ბობოხიძის ნომერი მქონდა და მას გავუგზავნე საქსტატის ვებგვერდის ბმული. იანვრიდან დაწყებული, სექტემბრის ჩათვლით, არის დანაშაულზე მონაცემები, შეგიძლიათ ანახოთ, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

მის ამ განცხადებას ნაციონალებში დიდი სიცილ-კისკისი მოჰყვა. მერე მიხვდნენ, რომ მთავრობას ეომებოდნენ და უმალ მრისხანე სახეები მიიღეს.

სტატისტიკის მოყვარულმა კახიძემ შს მინისტრს მისი უწყების საიტზე გამოქვეყნებულ სტატისტიკასთან დაკავშირებით აუტეხა ჩხუბი.

მათ შორის ასეთი დიალოგი წარიმართა და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მინისტრობის კანდიდატს კინაღამ დაგინება დასჭირდა.

მღებრიშვილი: რაც შეეხება სტატისტიკას და კრიმინალის ზრდას, ბატონმა ოთარმა მე გამახსენა შარშანდელი. მე შარშან თქვენ გითხარით, რომ მძიმე დანაშაულის ნაწილში რამოდენიმე ერთეულით არის გაზრდილი კრიმინალი, იყო ასე ხო? შარშან გითხარით მე თქვენ.

მერე მაგას ჰქონდა გაგრძელება. თქვენ თუ ხართ ინფორმირებულები და თუ იცით 2008-2009 წლებში რამდენი ყაჩაღობა იყო საქართველოში, იცით? რამდენი იყო, აბა მითხარით.

**კახიძე:** 2008-2009 წლებში რეკორდული მაჩვენებელი იყო ყაჩაღობის, 2010-ში შემცირდა მინიმუმამდე და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2011 წელს.

**მღებრიშვილი:** საქართველოში 400-ზე ქვემოთ არ ჩამოსულა ყაჩაღობა.

**კახიძე:** თუ არ დაარეგისტრირებთ, რანაირად იქნება?

**მღებრიშვილი:** ერთი ყაჩაღობის ფაქტი მითხარით, რომელიც იცით და რომელიც არ დავარეგისტრირეთ?

**კახიძე:** ჩვენ საიდან უნდა ვიცოდეთ, რას არეგისტრირებთ? მე რა სტატისტიკაც წარმოვადგინე, თქვენს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. 10%-იანი განსხვავებაა თქვენს სტატისტიკაში.

**მღებრიშვილი:** არ ვიცი, მე რაზე მესაუბრებით, მერე მაჩვენეთ. ერთი ფაქტი მომიყვანეთ, რომელი იცით თქვენ. ასე უაპელაციოდ არ გამოგივათ!

**კახიძე:** თქვენ გიდევთ თქვენს ვებგვერდზე.

**მღებრიშვილი:** მითხარით რომელიმე ფაქტი, რომელიც თქვენთვის ცნობილია და არ აღირიცხა! საქსტატს მიეწოდება სტატისტიკა, რომელიც კვარტალში ერთხელ აქვეყნებს. რა გინდათ, ახლა დავიფიცო თუ დავიგინო, არ მესმის!

* * *

ნაცმოძრაობის უკვე გამოცდილმა სახემ გიორგი კანდელაკმა თავისი პროფილით მოიშალა ნერვები. ის არც პიროვნულ შეურაცხყოფას მორიდებია და საქართველოში აკრედიტებული ელჩების ნაამბობიც გაამხილა. ნაცმოძელისაც და პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის დიალოგი ძალიან დაძაბულ ფორმატში წარიმართა.

**კანდელაკი:** ელჩებმა მითხრეს, კვირიკაშვილი კარგი მოსაუბრეა, მაგრამ საქმეს ივანიშვილთან ვწყვეტთო.

მაინტერესებს, ამისი არ გრცხვენიათ?

**კვირიკაშვილი:** შენ არ გრცხვენია ახლა ასეთი ლაპარაკი აქ, ამ პარლამენტში? შეიძლება ასეთი ლაპარაკი?

**კანდელაკი:** ეს არის ფაქტი.

**კვირიკაშვილი:** რა არის ფაქტი? ეგ არის შენი ფანტაზიები.

**კანდელაკი:** პოლიტიკური დისკუსიაა. კითხვებს ჩვენ ვსვავთ, ბატონო გიორგი, თქვენ პასუხებს იძლევით. თქვენ გაქვთ უფლება ჩემს კითხვას პასუხი არ გასცეთ.

**კვირიკაშვილი:** პოლიტიკურად ნული რომელი პოლიტიკური ძალაა, ამაზე მე აღარ გავაგრძელებ დისკუსიას.

**კანდელაკი:** პოლიტიკურ ძალებზე არ არის საუბარი, ბატონო გიორგი, საუბარი არის თქვენზე და რას საუბრობენ თბილისში აკრედიტებული ელჩები.

დეპუტატის და პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის დავაში მინისტრობის კანდიდატი ვიქტორ დოლიძე ჩაერია.

– რომელი ელჩი გეუბნება, ერთი მაინც დაასახელე? – ჩაეძია დოლიძე გაცეცხლებულ კანდელაკს.

დეპუტატმა საჯაროდ ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარი განაცხადა.

– ყურში გეტყვი. ეს არის რეალობა, მე არ ვიგონებ ამას, – აღნიშნა დეპუტატმა.

და რაკი მინისტრობის კანდიდატმა მასთან ჩურჩულის სურვილი არ გამოთქვა, კანდელაკმა ისევ კვირიკაშვილზე მიიტანა იერიში.

* * *

წინასაარჩევნო გარემოს შეფასება მოითხოვა ნიკა მელიამ. ეს უკანასკნელი რამდენიმე დღის წინ იმაზე ჩიოდა, პარლამენტის თავმჯდომარის გვარი ვერ დავიმახსოვრეო, სამაგიეროდ სულ სხაპასხუპით ჩამოარაკრაკა არჩევნების დღეს მომხდარი ძალადობის ფაქტები.

მელიას განცხადებით, „ქართული ოცნების“ მთავრობა შერჩევით სამართალს ახორციელებს.

დეპუტატის განცხადებით, ჯიხაშკარში საარჩევნო უბნების დარბევის გამო დაკავებული ადამიანი 10 დღეში პატიმრობიდან გაათავისუფლეს. თუმცა, მისი თქმით, მარნეულში დაკავებული 5 ახალგაზრდა დღემდე დაკავებულია.

მელიამ გასულ წელს პარლამენტთან მომხდარი ინციდენტიც გაიხსენა, რომლის დროსაც აწ უკვე ყოფილ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს პიჯაკი დაუხიეს, რომლის გამოც დაკავებულები პატიმრობაში სამი თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა პარალელი კორცხელის ინციდენტთან გაავლო, როდესაც სპორტსმენები ენმ-ს ლიდერებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. მისი თქმით, ისინი დღემდე თავისუფლები არიან.

დეპუტატი ასევე დაინტერესდა, ვინ შეარჩია სამთავრობო გუნდი, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი.

უფრო დაძაბულად წარიმართა პრემიერის და გიგა ბოკერიას დიალოგი. ამ დიალოგამდე ცოტა ხნით ადრე კვირიკაშვილს ნაციონალებმა რუსთავი 2-თან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა. რაზედაც მან განაცხადა რომ ამ საქმეს არც იცნობს და არც აინტერესებს.

ამით ძალიან შეურაცხყოფილი დარჩა ბოკერია და თავიც გვარიანად გაინერვიულა.

– მთელი მსოფლიო ამ საკითხზე საჯაროდ და კერძოდ გესაუბრებიან და თქვენ არც დაინტერესებულხართ საქმით? იქნებ გული გაგისკდეთ, რომ ჩაიხედოთ, - მიმართა მან კვირიკაშვილს.

ამის გარდა, ბოკერიამ პრემიერის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებას პოლიტიკური უტიფრობა უწოდა, რაზეც კვირკაშვილმა ბოკერიას კორექტულობისკენ მოუწოდა.

* * *

სამთავრობო გუნდის პასუხებით ნაციონალები უკმაყოფილონი დარჩნენ. უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა რომ ისინი მთავრობას ნდობას არ გამოუცხადებენ.

# კახა კალაძე: „წელიწადში 6 მილიონს ვიღებდი“



– ვფიქრობ, არანაირი ეჭვები არ არსებობს ჩემს ფინანსებთან დაკავშირებით, მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი ვიყავი და გამაჩნია იმის ინტელექტი, რომ სწორად მიმემართა თანხები და დღეს არავისზე არ ვიყო დამოკიდებული.

ასე უპასუხა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატმა კახა კალაძემ ფრაქცია საქართველოს პატრიოტებთან შეხვედრაზე დასმულ კითხვას, რომელიც კალაძის ბიზნეს ინტერესებსა და მის ხელფას შეეხებოდა ენერგეტიკის სფეროში.

კახა კალაძის თქმით, ყველაფერი, რაც მას გააჩნია, ასახულია მის დეკლარაციაში და არანაირი ეჭვები არ არსებობს მის ფინანსებთან დაკავშირებით.

– ყველაფერი, რაც კი მე გამაჩნია, ასახულია დეკლარაციაში. მე ვფიქრობ, არანაირი ეჭვები არ არსებობს ჩემს ფინანსებთან დაკავშირებით, რადგან მე წლების განმავლობაში, ჩემი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი ვიყავი. ჩემი ხელფასი წლიურად 6 მილიონს შეადგენდა და საკმაო ინტელექტი გამაჩნია იმისთვის, რომ ეს თანხები სწორად მიმემართა, რათა არავისზე არ ვიყო დღეს დამოკიდებული, – განაცხადა კახა კალაძემ.

ინტერპრესნიუსი

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალური მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნონა ცაბაძე

# კახა კუკავა: „ქართული ოცნების“ რღვევა 2 წლის შემდეგ დაიწყება“

## რატომ ვერ ერთიანდება არასაპარლამენტო ოპოზიცია

**„ახალი თაობის" კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი, კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებაზე ვერ თანხმდება. რა ხდება, რაზე ვერ შეთანხმდით?***

— დიახ, მართლაც გაიწელა ეს კონსულტაციები. იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, არასაპარლამენტო ოპოზიციაში იმაზე მეტი დაქსაქსულობაა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. პარტიების ერთი ნაწილი ერთიან მოქმედებას თავს არიდებს.

***— რა მოტივით?***

— არ ვიცი, ეს მათი სტრატეგიითაა გამოწვეული თუ უთანხმებენ ისინი თავიანთ სპონსორებს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან რთულდება ერთობლივი მოქმედების დაგეგმვა.

***— რა მიზეზს ასახელებენ?***

— რომ არ უნდათ, ეს ფაქტია და რატომ არ უნდათ, ამისთვის ყველა სხვადასხვა მიზეზს ასახელებს. ეს პროცესი კი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. დაქსაქსულ ოპოზიციას ყოველთვის მოუგებს ნებისმიერი, თუნდაც უვარგისი ხელისუფლება. ეს კი ბევრი ოპოზიციონერი ლიდერის თავში რატომღაც არ შედის.

***— საპარლამენტო არჩევნები რომ დასრულდა, უკვე იმ პერიოდიდან საუბრობდნენ ექსპერტები, რომ ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციური ველი მთლიანად მოასუფთავა.***

— მე არ მესმის ეს ქურდული ტერმინებით მეტყველება. ასე სააკაშვილმაც მოასუფთავა და შევარდნაძემაც კი არ მოასუფთავა და ამოჟლიტა 1992 წელს და ვინმეს ეს პოზიტივად მიაჩნია?! არ მესმის, რა არის ამაში პოზიტივი. ქართული სახელმწიფოს ამოცანა ის არის სწორედ, რომ ინსტიტუტები შეიქმნას, მათ შორის, პოლიტიკური პარტიები უნდა გაძლიერდეს.



ეს არის ქართული სახელმწიფოს ამოცანა და არა ის, რომ ფეოდალურ სამოურავოდ გადააკეთო ქვეყანა 21-ე საუკუნეში.

***— დღეს ამ პროცესს აქვს ადგილი?***

— რასაც აკეთებს ბიძინა ივანიშვილი, რასაც აკეთებდა თავის დროზე მიხეილ სააკაშვილი, საკუთარ ინტერესებზე ირგებენ ყველაფერს. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური სპექტრიდან მოასუფთავა ისინი, ვინც მის ფულს დახარბდნენ და მათ მოუწიათ ამ ფულის გადახდა, ოღონდ არა ფინანსური სახით, მათ პოლიტიკური ხარაკირი გაიღეს. თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ იყო საქართველოში პარტიები, მათ შორის „თავისუფალი საქართველო“, რომელმაც პრინციპულად თავიდანვე უარი თქვა ბიძინა ივანიშვილის ფულზე და ბიძინა ივანიშვილის თოჯინის ფუნქციის შესრულებაზე.

***— ივანიშვილი გთავაზობდათ ფულს და არ აიღეთ?***

— დიახ, იყო ეს შემოთავაზება და ეს თვითონ ბიძინა ივანიშვილსაც თავის პრესკონფერენციებზე უთქვამს, ვთავაზობდი მას და უარი მითხრაო.

***— შეწყდება კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებს შორის თუ არის რამდენიმე პარტია, ვინც გააგრძელებს მოლაპარაკებებს?***

— არა, არ წყდება. კონსულტაციები აუცილებლად გაგრძელდება და „თავისუფალი საქართველო“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მოხდეს ამ პარტიების ლუსტრირება. აუცილებლად შედგება პარტიების ერთ ნაწილის შორის შეთანხმება, ხოლო ვინც თამაშობს ხელისუფლების თამაშს, მათ ლუსტრაციას აუცილებლად მოვახდენთ.

***— რას იტყვით ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე? უკვე სახეზეა ახალი მთავრობა, რომელსაც პარლამენტი დღე-დღეზე დაამტკიცებს. თქვენ განაცხადეთ, ვინც შესაცვლელი იყო, არ შეიცვალაო. კონკრეტულად ვის გულისხმობდით?***

— ახალი ამ მთავრობაში არაფერი არ არის, ყველა მინისტრი ძველია, თუ არ ჩავთვლით ტექნიკურ ცვლილებებს. ჩვენს ცხოვრებაშიც იქნება ისეთივე რეგრესი, რაც იყო გასული 4 წლის მანძილზე. იმ 800 ათასმა ადამიანმა, ვინც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, უნდა იცოდეს, რომ მათ ხმა მისცეს საკუთარი ქვეყნის დაქცევას და 10 ლარად გაყიდეს საკუთარი შვილების მომავალი!

***— ანუ ამომრჩევლის პასუხისმგებლობაზე საუბრობთ?***

— ეს პასუხისმგებლობა უნდა იკისროს თავის დროზე იმ 800 ათასმა ამომრჩეველმა. ჩვენ ყველაფერს ვაბრალებთ ამერიკას, რუსეთს, შევარდნაძეს, სააკაშვილს, ივანიშვილს, არადა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შევარდნაძესაც, სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც 800 ათასიც და მილიონიც აძლევდა ხმას. მაშინ, როცა ერთეულები სულ ვაფრთხილებდით ამ ხალხს, რომ ამის გაკეთება ქვეყანას დააქცევს.

მერე ის 800 ათასი ამომრჩეველი გამოდგება 2 წლის შემდეგ და დაიწყებს ივანიშვილის გინებას და ახალი მთავრობის ქებას. ამიტომ ეს პრობლემა არის სიღრმისეული, რომ ჩვენ გვყავს 800 ათასი აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა, რომელიც ნებისმიერ მთავრობას 10 ლარად ხმას აძლევს!

***— მაინც რა მოლოდინი გქონდათ, რომელი მინისტრების შეცვლას ელოდებოდით?***

— მოლოდინი არ მქონია, რომ მინისტრები შეიცვლებოდნენ, თუმცა ვისურვებდი, რომ თითქმის ყველა მინისტრი შეცვლილიყო. რამდენიმე კი განსაკუთრებით სკანდალური იყო. მოლოდინი კი ნამდვილად არ მქონდა.

***— რატომ?***

— მე ვიცი ძალიან კარგად, ბიძინა ივანიშვილი რის მიხედვით არჩევს მინისტრებს. ის მინისტრებს არჩევს არა შედეგების და პროფესიონალიზმის მიხედვით, არამედ მორჩილების და ლოიალობის მიხედვით. არალოიალობა არც ერთი მინისტრისთვის არ შემიტყვია და აქედან გამომდინარე, არც ერთი მინისტრის შეცვლას არ ველოდებოდი.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ეს გუნდი შეარჩია ივანიშვილმა და არა კვირიკაშვილმა?***

— რა თქმა უნდა! ამაში ორი აზრი არ არის. გიორგი კვირიკაშვილს გააჩნია მხოლოდ ცერემონიალური ფუნქციები ამ მთავრობაში, რომ უცხოელ სტუმრებს გაუღიმოს, ხელი ჩამოართვას და ფოტო გადაიღოს. ეს არის მისი ერთადერთი ფუნქცია საქართველოს მთავრობაში!

***— რა მოლოდინი გაქვთ ახალი პარლამენტისგან. ის შეუდგა უკვე მუშაობას, აქტიურად მიმდინარეობს დებატებიც. რამდენად ნაყოფიერი ოთხი წელი იქნება?***

— ეს არ არის პარლამენტი, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, რომელიც უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ნება-სურვილს. ის გამოხატავს ორი ოლიგარქის, სააკაშვილის და ივანიშვილის, ინტერესებს და აქედან გამომდინარე, ამ პარლამენტს ექნება უფრო კრიმინალური გარჩევის ხასიათი მომავალი 4 წლის მანძილზე, ვიდრე პარლამენტისა.

***— უკვე იხილა საზოგადოებამ ქალებს შორის საქმის გარჩევა.***

— დიახ და ძალიან სამარცხვინო იყო, რომ ამ გარჩევის ერთ-ერთი მხარე იყო იუსტიციის მინისტრი, რომელიც თვითონ უნდა იყოს კრიმინალური მენტალობის მთავარი მტერი. ის თავად საუბრობდა კრიმინალური ტერმინოლოგიით. ასე რომ, კარგს არაფერს ველი. როგორც ჩვენი პრაქტიკა და ისტორია გვიჩვენებს, ყოველთვის მეორე ვადის შუაში იწყება ხოლმე ხელისუფლების რღვევა და ახლაც ეს მოლოდინი მაქვს. დაახლოებით ორ წელიწადში სურათი შეიცვლება.

***— ადგილობრივი არჩევნებისთვის თუ ელოდებით განსხვავებულ სურათს?***

— განსხვავებულს არ ველოდები, თუმცა ოპოზიცია ივაჟკაცებს. რა თქმა უნდა, პროცესების დაჩქარება შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ამისი ნიშნები არ ჩანს.

# თამარ ჩხეიძე: „პატრიოტთა ალიანსი ნამდვილი ოპოზიცია არაა“

## „არჩევნების შეფასება აუცილებელია“

მარიამ მჭედლიშვილი

**პარლამენტსა და მის გარეთ მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ თამარ ჩხეიძეს ესაუბრა.**

***— საზოგადოება უკმაყოფილოა მთავრობის მუშაობით. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცვლილებებს მოელოდნენ ისინიც, ვინც ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. მთავრობა თითქმის არ იცვლება. რატომ?***

— მართლაც, თუ უმნიშვნელო გადაადგილებას არ ჩავთვლით, არანაირი ცვლილება არ მომხდარა. „ქართულმა ოცნებამ“ ამის საჭიროება ვერ დაინახა. მმართველმა პარტიამ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა და იქცევა ისე, როგორც სურს. მას არ აინტერესებს, უნდა თუ არა ხალხს იგივე მთავრობა.

***— არჩევნები ჩავლილია და იმიტომ?***

— დიახ, თუმცა, განსაკუთრებულად არც არჩევნების წინ ითვალისწინებდნენ ხალხის აზრს.

***— არჩევნების შემდეგ სხვა რეალობაა. დარჩა თუ არა პოლიტიკაში ძალა, რომელიც ეფექტური ოპოზიცია იქნება?***

— პარლამენტში „ქართული ოცნების“ ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობაა, პარლამენტის გარეთ — ლეიბორისტული პარტია. არიან სხვებიც. მათგან დიდი რყევები მოსალოდნელი არ არის, მაგრამ აქტიურობა იქნება. ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციის გამოსვლებს მნიშვნელობა ექნება ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ისინი აუცილებლობის შემთხვევაში ხმას მიაწვდენენ დასავლეთს.

***— ოპოზიციაა პატრიოტთა ალიანსიც.***

— პატრიოტთა ალიანსი ნამდვილი გაგებით არაა ოპოზიცია. კულუარებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ძალას არჩევნებზე ხმები დააკლდა და ის ხელოვნურად შეიყვანეს პარლამენტში. ხელისუფლებას საამისოდ ბერკეტები ჰქონდა.

ეს პარტია ძირითადად ხელისუფლების მომხრეა, მაგრამ ახდენს საკითხების რადიკალიზაციას და გამოხატავს უფრო მძაფრ პოზიციებს. ეს რეაქციული პოზიციებია, რომლებიც შორსაა ლიბერალური დემოკრატიისგან. ხელისუფლებას პატრიოტთა ალიანსი სჭირდება ფონის შესაქმნელად. ამ პოლიტიკური ძალის გამოსვლები არადემოკრატიული და პრორუსულია და მომავალშიც ასეთი იქნება. მისი წარმომადგენლები ხელისუფლებას ნაწილობრივ აკრიტიკებენ.

***— კერძოდ?***

— მაგალითად, ისინი თავს ესხმიან კულტურის მინისტრს საყდრისის დანგრევის გამო. ამ მინისტრის მომხრე არ ვარ, საყდრისის დანგრევაც დანაშაულად მიმაჩნია, მაგრამ გიორგაძე იყო შემსრულებელი. თუ მას ადანაშაულებ, მაშინ დამკვეთიც უნდა ახსენო! თანაც, ადრე, როცა საყდრისის თემაზე გამოდიოდნენ, ალიანსის წევრები ერთნაირ ბრალდებებს უყენებდნენ წინა და ახლანდელ ხელისუფლებას. არადა, წინა ხელისუფლების დროს საყდრისს კულტურული ძეგლის სტატუსიც ჰქონდა და ეს ძეგლი არავის დაუნგრევია. თუ ძეგლის დანგრევის ბრალდებებს აყენებენ, მაშინ ამ ხელისუფლებას სხვა საკითხებშიც არ უნდა დაეთანხმონ!



***— პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიები აპირებენ, ერთობლივი შეფასება მისცენ ბოლო არჩევნებს. მათი განცხადებებით, ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი არ იყო.***

— კარგი იქნება, თუ ამ არჩევნებს შეფასება მიეცემა. ბუნებრივია, არ მოველი, რომ ამის შემდეგ ახალი რიგგარეშე არჩევნები გაიმართება, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მომავალში გამოსწორდეს მდგომარეობა.

***— 2020 წლისთვის თუ ჩატარდება არჩევნები გაუმჯობესებულ საარჩევნო გარემოში?***

— გარკვეული ხნის შემდეგ ცვლილებები აუცილებლად უნდა მოხდეს. არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდება ამ პროცესს. დემოკრატიზაციისთვის აუცილებელია საზოგადოებისა და პოლიტიკოსების შეგნების ზრდა. მათ დემოკრატიზაციის აუცილებლობა უნდა დაინახონ. პოლიტიკური პარტიები არ უნდა შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესებით.

საარჩევნოდ უნდა შეიქმნას მეტ-ნაკლებად თანასწორუფლებიანი გარემო, სადაც ფულს არ ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენში არჩევნებისთვის აუცილებელი თანხების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და არნახულ ციფრებს აღწევს, პარტიებს ყოფენ კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად იმ დროს, როცა კვალიფიციურობა ზოგჯერ მაქინაციებით მიიღწევა. თუ სამართლიანი არჩევნების მიმართულებით პირველი ნაბიჯები მაინც გადაიდგმება, ეს პოზიტიური იქნება. ხელისუფლება რომ ამაზე წავიდეს, მასზე ზეწოლაა საჭირო.

***— კვალიფიციურ სუბიექტებთან დაკავშირებული მაქინაციები ახსენეთ. პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება ბოლო დროს განხილვის თემა გახდა. ყველა არ ეთანხმება იმას, რომ კვალიფიციურად წოდებული პარტიები ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ.***

— ზოგ პარტიას კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი დაუმსახურებლად აქვს მინიჭებული. მიუხედავად ამისა, პარტიებისთვის საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტა სწორი არ იქნება. მაშინ ისინი არალეგალურად იშოვიან ფულს, რაც უარესია. პროცესები უფრო დემოკრატიული და სამართლიანი უნდა გახდეს. მაქინაციები უნდა გამოირიცხოს, არჩევნების წინ კი თანხების ხარჯვა შეიზღუდოს. რეგულაციების შემთხვევაში არჩევნებზე აღარ დაიხარჯება უზომო თანხები, რაც თანასწორობასაც შეუწყობს ხელს.

### ქეთევან ციხელაშვილი: „ენგურის ხიდის რეაბილიტაცია კარგია“



— ენგურის ხიდის რეაბილიტაცია არის ძალიან კარგი მოვლენა, რამდენადაც მიმართულია იქითკენ, რომ უფრო გააადვილოს გადაადგილება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე.

ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა ქეთევან ციხელაშვილმა ენგურის ხიდის რეაბილიტაციის საკითხზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

— ენგურის ხიდის რეაბილიტაცია ნამდვილად მიმდინარეობს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. ეს საკითხი დიდი ხანია დღის წესრიგში იყო და ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან კარგი მოვლენა, რამდენადაც მიმართულია იქითკენ, რომ უფრო გააადვილოს გადაადგილება ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე, რაც ისედაც გართულებულია ოკუპაციის პირობებში, — განაცხადა ციხელაშვილმა.

### თინა ხიდაშელმა ეთიკა ბევრჯერ დაარღვია

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ის დიდი ხნის განმავლობაში იკავებდა თავს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, თინა ხიდაშელის კრიტიკისგან, თუმცა მისი მხრიდან ეთიკა ბევრჯერ დაირღვა. ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრისას განაცხადა, როდესაც შეიარაღებულ ძალებში თინა ხიდაშელის მიერ გაწვევის გაუქმებასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის წევრ თენგიზ გუნავას კითხვას უპასუხა.

— თინა ხიდაშელმა განცხადება გამოაცხადა პირდაპირ ეთერში, სამწუხაროდ. მე ამდენი ხანი საჯარო სივრცეში კრიტიკისგან თავს ვიკავებდი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ერთი კაბინეტის წევრები ვიყავით. სამწუხაროდ, მისი მხრიდან ეს ეთიკა ბევრჯერ დაირღვა. მე ბევრჯერ შეიძლება გული მეტკინოს ამაზე, მაგრამ არა უშავს. პოლიტიკაში გულისტკენები არ არის მნიშვნელოვანი. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, იყო შესაბამისობაში იმ გრძელვადიან სტრატეგიასთან, რომელიც ჩვენ ერთად გვაქვს დამტკიცებული, მაგრამ იყო მოუმზადებელი იმ დროსა და სივრცეში, როცა მიიღეს, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ მაისაია: „გალში ვითარების გამწვავებას უნდა ველოდოთ“

გულიკო ბალაძე

**რუსეთი საქართველოს სამხედრო ბაზების რკალში აქცევს. ოკუპირებული გალი სამხედრო ქალაქი ხდება. რუსეთს უნდა, გალი სამხედრო პლაცდარმად აქციოს და თავისი იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისთვის გამოიყენოს.**

რუსეთი სამხედრო ბაზას აძლიერებს და სამხედრო ქალაქს აშენებს ცხინვალის რეგიონშიც (თამარაშენსა და კეხვში), საიდანაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ქართველების ეთნოწმენდა მოხდა, გადაიწვა და ბულდოზერებით მიწასთან გასწორდა ქართველთა საცხოვრისი.

მესამე პლაცდარმი რუსეთს სომხეთში აქვს. ცოტა ხნის წინ, პუტინმა სომხეთში რუსულ-სომხური ერთობლივი საჯარისო ფორმირების შექმნას მოაწერა ხელი.

გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადების შესახებ რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმიც ეთანხმება.

პუტინმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზებთან გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნაზე შეთანხმების რატიფიცირების შესახებ კანონს 22 ნოემბერს მოაწერა ხელი, მას შემდეგ, რაც 2 ნოემბერს, სახელმწიფო დუმამ, 16 ნოემბერს კი, ფედერაციის საბჭომ მისი რატიფიცირება მოახდინა.

რუსეთმა ოკუპირებულ აფხაზეთს ხელშეკრულებაზე ხელი 2015 წლის ნოემბერში მოაწერინა. მას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ჩარჩო შეთანხმება დაერქვა.

შეთანხმება 10 წლის განმავლობაში იმოქმედებს, 5 წლიანი ვადით, ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით.

გაერთიანებული დაჯგუფების შემადგენლობაში იქნება აფხაზეთში განთავსებული რუსეთის გაერთიანებული სამხედრო ბაზა, აფხაზების ორი ცალკეული მოტომსროლელთა ბატალიონი, საარტილერიო და საავიაციო ჯგუფები, ასევე სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფი.

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ რუსეთს გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება რამდენიმე მიზნის მისაღწევად სჭირდება.

***— ბატონო ვახტანგ, ადრეც გვისაუბრია, საქართველოს საზღვრებთან რუსული სამხედრო ბაზების განთავსების გეგმებზე, რაც ბოლო დროს აქტიურად ხორციელდება, მაგრამ ახლა რუსეთს რისთვის სჭირდება გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება?***

— რუსეთს გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება რამდენიმე მიზნის მისაღწევად სჭირდება. კერძოდ, რუსეთს სურს საქართველოზე ზეწოლა მოახდინოს.

***— რის მიღწევას ცდილობს?***

— რუსეთს სურს შეაჩეროს ნატოს წინსვლა ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით და გააძლიეროს გავლენის სფეროები. ანუ რუსეთის მიზანია ზეწოლა საქართველოზე, ნატოს ახლო აღმოსავლეთით გაფართოების შეჩერება.

***— პარალელურად, რუსეთის დუმის დსთ-ის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონფლიქტები (აფხაზეთსა და ცხინვალში) უნდა მოგვარდეს. ამისთვის კონფედერაციულ მოწყობას გვთავაზობს. ანუ, ერთი მხრივ, თითქოს კონფლიქტის მოგვარების გზას გვთავაზობენ, მეორე მხრივ, აძლიერებენ სამხედრო ელემენტს.***

— რა თქმა უნდა. თქვენ ზუსტად ჩაწვდით ამ პრობლემის არსს.



***— რამდენად მისაღებია ეს ქართული მხარისთვის?***

— ცხადია, რუსეთის ამგვარი გეგმები საქართველოსთვის მიუღებელია.

***— რამდენად მისაწვდომია რუსებისთვის ასეთი გეგმის განხორციელება?***

— რუსეთს სადაც გაუვა, იქ განახორციელებს თავის გეგმას. თუ არ გაუვა, ვერ განახორციელებს.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო კომპონენტის გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზი ნატოს აღმოსავლეთით სვლის შეჩერებაა. ნატო საქართველოს მაპს ისედაც არ აძლევს. რაიმე გამოჩნდა ისეთი, რამაც რუსეთი შეაშფოთა? რამენაირი წინსვლა იგრძნობა საქართველოს ნატოში მიღების თვალსაზრისით და რუსეთი ამიტომ ამოქმედდა?***

— ეს ძალიან რთული საკითხია. ამ საკითხის მიმართ ნატოშიც რთული დამოკიდებულებაა. დასავლეთი, ევროკავშირი და მათი მოკავშირეებიც არ არიან ჩამოყალიბებული ამ მიმართულებით. დღეს არავინ იცის, რას განახორციელებს ტრამპის ადმინისტრაცია. ყველაფერი დამოკიდებულია ამერიკის ახალ ადმინისტრაციაზე. ახალი მიდგომებია. ევროპაშიც იქნება ახალი არჩევნები. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ახალი არჩევნების შედეგებზე. სამწუხაროდ, ყველა საკითხი ღიადაა დარჩენილი.

***— მაშინ რუსეთს რის შეიძლება ეშინოდეს?***

— რუსეთს არაფრის ეშინია. რუსეთი და დასავლეთი ერთმანეთთან შევიდნენ დიდ კონფრონტაციაში. ეჭვი მეპარება, ვინმეს ამის ეშინოდეს. პირიქით, რუსეთი მუშტებს იღერებს და ცდილობს, ყველა მიმართულებით შეიტანოს დაძაბულობის ელემენტები. მით უმეტეს, ახლა უფრო რთული სიტუაციაა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რით დასრულდება საკითხი. ჩვენ რომ ვართ სტაგნაციის პერიოდში, ეს ცხადია.

***— ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით სტაგნაციის პერიოდია?***

— დიახ.

***— ნატოში მიღების თვალსაზრისით სტაგნაციის პერიოდი ხომ 2008 წლის ომის დროიდან მომდინარეობს.***

— დიახ.

***— გარღვევა შეიძლება მოხდეს?***

— ჯერჯერობით, ამ ეტაპზე გარღვევა ნაკლებად იქნება. მერე ვნახოთ.

***— ბოლო დროს იყო გარკვეული განცხადებები, რომელიც რუსეთს მაინცდამაინც არ უნდა უხაროდეს.***

— ჩვენი მიმართულებით არ იქნება მაინცდამაინც კარგი სიტუაცია.

***— კერძოდ, რას უნდა ველოდოთ?***

— გალში სიტუაციის გამწვავებას. რუსეთი გალში სამხედრო ოჯახების ჩასახლებასა და მის წმინდას, სამხედრო ქალაქად გადაქცევას გეგმავს. არ არის გამორიცხული, სიტუაცია ისე გამწვავდეს, ქვეყანამ ათასობით ახალი ლტოლვილი მიიღოს.

# „ირაკლი სესიაშვილზე ზეწოლა ხორციელდება“

## გია ვოლსკი: „ნდობის ჯგუფის წევრებში უშიშროებამ ღრმად უნდა ჩაიხედოს“

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ისევ ვერ ხერხდება. კომიტეტის წევრებს ნაციონალების და პატრიოტთა ალიანსის კანდიდატებს შორის არჩევანის გაკეთება უჭირთ. კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ამტკიცებს, რომ ოპოზიციიდან მისი მოადგილე აუცილებლად ნაციონალი უნდა გახდეს.

სესიაშვილი ამას იმით ხსნის, რომ მათ უმცირესობასთან მიღწეული აქვთ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ალიანსი 3 კომიტეტში მიიღებს მოადგილის ადგილს, ნაცმოძრაობა კი – 12 კომიტეტში.

სესიაშვილი და კიდევ რამდენიმე მეოცნებე პატრიოტთა ალიანსს საკუთარი კანდიდატის მოხსნისკენ მოუწოდებენ. ალიანსი ემზარ კვიციანის კანდიდატურის მოხსნაზე უარს ამბობს. კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს ირაკლი აბესაძეც, რომელიც ნაცმოძრაობის რჩეულია.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკიც გამოეხმაურა.

ვოლსკის სწორად არ მიაჩნია, რომ ემზარ კვიციანის გარშემო ამხელა სკანდალური ატმოსფერო შეიქმნა.

ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ იმ ადამიანებში, ვინც ნდობის ჯგუფში არის გაერთიანებული, უშიშროებამ უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს:

— იმსახურებს თუ არ იმსახურებს, ჯერ ამ საკითხთან დაკავშირებით არავინ არაფერი იცის. თუ რამე კონკრეტულია ბრალდებები ამ კაცის მიმართ, უნდა დააყენონ. მე მის ადვოკატობას არ ვაპირებ. არც მას და არც ნაციონალურ მოძრაობას მე დიდი ნდობის კრედიტს ვერ მივცემ, მაგრამ ეს არის პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც მე გამაჩნია. აქედან გამომდინარე, ბევრი საკითხია. ვფიქრობ, უშიშროებამაც უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს იმ ადამიანებში, ვინც ამ ნდობის ჯგუფში არის გაერთიანებული, — განაცხადა ვოლსკიმ.

მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არც ემზარ კვიციანს მოსწონს. ის განსაკუთრებით სესიაშვილის განცხადებებით არის შეწუხებული.

— სავარაუდოდ, ირაკლი სესიაშვილზე ზეწოლას ახდენენ და ამიტომაც აქვს ამ ადამიანს ასეთი პოზიცია, – აღნიშნა კვიციანმა გადაცემა „პრიორიტეტებში“ საუბრისას.

მისი თქმით, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე კენჭისყრის საკითხთან დაკავშირებით არანაირი შეთანხმება, რომელიც კვოტების გადანაწილებას შეეხებოდა, არ ყოფილა.

— შეთანხმება რომ ყოფილიყო, მაშინ პატრიოტთა ალიანსი რატომ წარადგენდა კანდიდატურას. ამბობენ, რომ ვარ სახიფათო ადამიანი, ეს არის შავი პიარი, დაწყებული ნაციონალური მოძრაობისგან. ჩემზე სანდო ადამიანს არ ვიცნობ, — აცხადებს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.



# უჩა ნანუაშვილი: „ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული“



მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით, ოჯახში ძალადობის პირობებში 13 ქალია მოკლული.

ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა 25 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, კვლავ მაღალია ჯანმრთელობის დაზიანებისა და სხვა სასტიკი ფორმებით ჩადენილი ძალადობის რიცხვი. პოლიციამ 2.000-ზე მეტ შემთხვევაში გამოიყენა დაცვის ღონისძიება.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, მისასალმებელია გასულ წლებთან შედარებით ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და მათზე რეაგირების მაჩვენებლის გაზრდა, თუმცა პრობლემის მასშტაბების და სიმძაფრის გათვალისწინებით, შესაძლო რისკების პრევენციის და თითოეულ შემთხვევაზე რეაგირებისთვის უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო.

— ჩვენი შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ძალადობის განმეორების რისკის შეფასება და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება.

არსებული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის საქმეთა შესწავლისას გათვალისწინებულ იქნა ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებული მძიმე ვითარება და ყველა შემთხვევაზე ქმედითი ღონისძიებები გატარდეს, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი მოუწოდებს მთავრობას და პარლამენტს ხელი შეუწყონ და დააჩქარონ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებზე ევროსაბჭოს კონვენციის რატიფიცირება.

უჩა ნანუაშვილი იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, მოახდინონ ფემიციდის, როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობის დეფინიციის განსაზღვრა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

**ინტერპრესნიუსი**

# მცხეთასთან ავარიას სამხედრო ექთანი ემსხვერპლა



მცხეთაში ავტოავარის შედეგად სამხედრო ექთანი დაიღუპა.

პიკაპის ტიპის ავტომობილის მძღოლმა მცხეთის ხიდთან საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარე მტკვარში გადავარდა. შემთხვევის დროს ავტომობილში კიდევ 2 სამხედრო პირი იმყოფებოდა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა სტაბილურია.

მაშველებმა ავტომობილის ამოყვანა მდინარიდან უკვე მოახერხეს.

როგორც ინტერპესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

# რაულ ხაჯიმბა მოსკოვში ვლადიმერ პუტინს შეხვდება



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა დეკემბრის დასაწყისში რუსეთის დედაქალაქს სამუშაო ვიზიტით ეწვევა.

– 1-2 დეკემბერს აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა სამუშაო ვიზიტით ეწვევა რუსეთის ფედერაციას, რომლის ფარგლებშიც შედგება შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან.

შეხვედრის ფარგლებში დაგეგმილია ფართო სპექტრის საკითხების განხილვა, რომელიც აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობებს ეხება, – ნათქვამია ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რომან გოცირიძე: „ეს ხელისუფლება ლარს არ მოსწონს“



– ლარმა ისტორიული გაუფასურების მაქსიმუმს მიაღწევს.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა რომან გოცირიძემ საპარლამენტო უმცირესობის სხდომაზე განაცხადა, სადაც პრემიერმინისტრობისა და მინისტრობის კანდიდატების მოსმენა მიმდინარეობდა.

როგორც რომან გოცირიძემ პრემიერმინისტრობის კანდიდატისთვის კითხვის დასმისას განაცხადა, ხელისუფლების მრავალი დაპირების მიუხედავად, ლარის კურსის დასტაბილურება 4 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

– ეს ხელისუფლება ლარს რომ არ მოსწონს, ყველამ კარგად ვნახეთ. დღეს თუ ბლუმბერგში ჩავიხედავთ, თქვენ დაინახავთ, რომ ლარი ისტორიული გაუფასურების მაქსიმუმს მიაღწევს. ანუ 4 წლის განმავლობაში ვერ მოხდა ლარის დასტაბილურება, მიუხედავად მრავალი დაპირებისა თქვენი ხელისუფლების მხრიდან. როდის აპირებთ და რა გზებით ლარის მორიგი დევალვაციის თავიდან აცილებას, რომელმაც ქვეყანაში ფაქტობრივად მცირე და საშუალო ბიზნესი გაანადგურა?! ოფიციალური სტატისტიკითაც კი მცირე ბიზნესი 20 ათასითაა შემცირებული. ლარის გაუფასურებამ ათეულობით ათასი ადამიანი გააღარიბა, 500 ათასი ადამიანი დატოვა შემოსავლების გარეშე ბანკის სესხების უცხოური ვალუტით დაფარვის გამო, – განაცხადა გოცირიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი ასევე წლევანდელი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით და სახსრების წარმომავლობითაც დაინტერესდა.

– 4 წლის შემდეგ, როგორც იქნა, აღიარეთ, რომ ცუდი ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ცუდად მოქმედებს და ლარის სტაბილიზაციის ერთ-ერთ გზად ჯანსაღი ბიუჯეტი დაასახელეთ. 4 წელია, ჩვენ ვიღებთ დეფიციტურ, მფლანგველურ და არარაციონალური ხარჯებით შეჯერებულ ბიუჯეტს და მისი ერთ-ერთი ნაირსახეობაა წლევანდელი ბიუჯეტი, – აღნიშნა გოცირიძემ.

# აჭარაში 1 ტურისტი საშუალოდ 1.059 ლარს ხარჯავს




აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა 2016 წლის აპრილ-ივნისში ჩატარებული უცხოელ ვიზიტორთა კვლევა გამოაქვეყნა.

კვლევის შედეგად, 909 უცხოელი ვიზიტორი საქართველოში არსებულ ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტზე, ქვეყნის დატოვებამდე გამოიკითხა.

კვლევის მიხედვით, აპრილი-ივნისის პერიოდში აჭარაში პროცენტულად ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორი, 45.4%, ძირითადად მეგობრებთან, 31,1% კი ინდივიდუალურად სტუმრობდა. მათი უმრავლესობა კი რეგიონში საშუალოდ 2-3 ღამით რჩებოდა.

1 ტურისტის მთლიანი ვიზიტის ხარჯი აჭარაში საშუალოდ 1.059 ლარს შეადგენს. აღნიშნულ ციფრში შედის კვების, განთავსების, გართობისა და აჭარაში ყოფნისას განხორციელებული ყველა აქტივობის ხარჯი. მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ტრანსპორტი, რომლითაც ვიზიტორმა აჭარაში ჩამოსვლამდე და რეგიონში ისარგებლა.

წინა კვლევების მსგავსად, 2016 წლის აპრილ-ივნისში ვიზიტორების უმრავლესობა აჭარაში ძირითადად ღირსშესანიშნაობათა, ბუნებისა და ლანდშაფტების დასათვალიერებლად (55,7%) და აზარტული თამაშებისთვის (9,1%) ჩამოდის, თუმცა მათ მიერ რეგიონში ყოფნისას განხორციელებულ აქტივობებში აზარტულ თამაშებს მხოლოდ 0,2% უჭირავს, მაშინ როცა ეკოტურიზმით ტურისტების 90%, ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმით 38,64%, ხოლო კულტურული ტურიზმით 31,24 % ტურისტია დაკავებული.

**ბიპიენი**

# ნოდარ ხადური კონკურენციის სააგენტოს უხელმძღვანელებს



ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხადური სავარაუდოდ კონკურენციის სააგენტოს უხელმძღვანელებს.

2030-ის ინფორმაციით, ხადური, რომელიც მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაში აღარ იქნება, სწორედ აღნიშნული სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნება.

კონკურენციის სააგენტოს ამ დროისთვის გიორგი ბარაბაძე ხელმძღვანელობს.

კონკურენციის სააგენტო 2014 წლის აპრილში, პრემიერმინისტრის ბრძანებით შეიქმნა.

# თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა ონლაინ სესხების სერვისის აკრძალვის მომხრეა

ონლაინ სესხების აკრძალვის მოთხოვნით ინტერნეტში გავრცელდა პეტიცია, რომელსაც საკმაოდ ბევრი ხელმომწერი ჰყავდა.

ეისითი დაინტერესდა, თბილისის მოსახლეობის რა ნაწილი მოიხმარს ონლაინ სესხებს და რამდენი ფიქრობს, რომ უნდა აიკრძალოს ეს სერვისი.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ონლაინ სესხების სერვისი თბილისში თითქმის აბსოლუტური ცნობადობით სარგებლობს (96%). რაც შეეხება მოხმარებას, ყოველ მეოთხე თბილისელს (25%) უსარგებლია ამ სერვისით, და 34%-მა შესაძლებელია, რომ მომავალში ისარგებლოს.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებლების ნახევარზე მეტი (54%) 18-დან 34 წლამდე ახალგაზრდაა.



მოსახლეობის უმრავლესობა (64%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ონლაინ სერვისი უნდა აიკრძალოს საქართველოში. მათ შორის 25% ონლაინ სესხების მომხმარებელია.

გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის გზით 400 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2016 წლის ოქტომბერში.

მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4.9%-ს. გამოყენებული მეთოდი – პირისპირ ინტერვიუ.

# ლარმა 2.5-ს გადააბიჯა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

26 ნოემბრიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.5026 ლარი გახდება. კურსი, რომელიც 25 ნოემბერს მოქმედებდა, 2.4852 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0174 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, 26 ნოემბრიდან 1 ევროს შეძენა 2.6505 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა 25 ნოემბერს მოქმედი კურსი 2.6259 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0246 ლარი შეადგინა.

# დარიალჰესი ექსპლუატაციაში რამდენიმე დღეში შევა

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილი ჰესი დარიალჰესი ექსპლუატაციაში დეკემბრის დასაწყისში შევა.

ენერგეტიკისა და გარემოს ეროვნული ასოციაციის ინფორმაციით, უკვე მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურის ტესტირების სამუშაოები და ჰესი ელექტროენერგიას საქართველოს ელექტროსისტემას ტესტირების რეჟიმშიც აწვდის.

ჰიდროელექტროსადგური ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მდინარე თერგზე აშენდა. დარიალჰესის დადგმული სიმძლავრე 108 მგვტ-ია. წლიური გამომუშავება კი – 510 მლნ კვტ.სთ.



დარიალჰესის ელექტროენერგია მთლიანად ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 130 მილიონი დოლარია.

დარიალჰესი არის ერთსაფეხურიანი, მდინარის დინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგური. ამგვარი სტრუქტურა გამორიცხავს მდინარის ზედა ნაწილის დაგუბებას და ამცირებს მასთან ასოცირებული მშენებლობის მასშტაბებს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში.

დარიალის ჰიდროელექტროსადგური გამოიწვევს ყოველწლიურად 250.000 ტონაზე მეტი სათბურის გაზების შემცირებას.

# კვირიკაშვილი: „2017 წელს პენსიებს არ გავზრდით“



– ჩვენ არ ვაპირებთ პენსიების ზრდას 2017 წლის ბიუჯეტით. არაფერი ამაში დამალული არ არის და არც ტყუილის თქმას ვაპირებ დღეს.

ამის შესახებ პრემიერმინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა ნაციონალური მოძრაობის წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც პენსიების ზრდას ეხებოდა.

საპარლამენტო უმცირესობის სხდომაზე, რომელზეც პრემიერმინისტრობისა და მინისტრობის კანდიდატებს უსმენდნენ, კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლიდან ამოქმედდება ახალი საპენსიო სისტემა.

– 2018 წლიდან, როდესაც ჩაირთვება ახალი საპენსიო სისტემა, იქნება შესაბამისი ინდექსაციის სისტემა, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს პენსიას იმ ინფლაციის მაჩვენებლებთან, რომელიც გვექნება. ჩვენ წინასაარჩევნო პერიოდშიც თავი შევიკავეთ არარეალისტური დაპირებებისგან, – აღნიშნა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა.

# მერაბ მამულაშვილი: „თბილისის მიკროავტობუსმა“ მერიას მგზავრობის გაძვირებაზე შეტყობინება გაუგზავნა“

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი ადასტურებს, რომ „თბილისის მიკროავტობუსმა“ მერიას მგზავრობის საფასურის გაძვირების საკითხზე შეტყობინება გაუგზავნა.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს 25 ნოემბერს განუცხადა.

მამულაშვილის თქმით, კომპანიას უფლებამოსილება გააჩნია, აცნობოს მერიას, რომ აპირებს ფასის გაზრდას. თუმცა, როგორც მერაბ მამულაშვილმა აღნიშნა, მსგავსი წერილი მერიაში კომპანიისგან შარშანაც შევიდა, მაგრამ ფასები შარშან არ გაზრდილა.

მამულაშვილის აზრით, მგზავრობის ფასი არც ამჯერად გაიზრდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ჯაბა სამუშიამაც და განაცხადა, რომ მიკროავტობუსებით მგზავრობის ფასი არ გაიზრდება.

– ეს საკითხი შეკითხვის სახით ნაციონალური მოძრაობის წევრებმა დასვეს და მე ნამდვილად მიკვირს, რადგან ეს ხელშეკრულება თავის დროზე ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში გაფორმდა სამარშრუტო ტაქსების კომპანიასთან.

სამწუხაროდ, აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს შემდეგ ჩანაწერს: როდესაც კომპანია მიმართავს მერიას ფასთან დაკავშირებით, მას აქვს ერთი თვის ვადა და ყოველგვარი თანხმობის გარეშე შეუძლია თანხა მოუმატოს. მე მინდა თბილისელები დავარწმუნო, რომ მიუხედავად ამ ჩანაწერისა, მგზავრობის ფასი არ მოიმატებს, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.



# ტრამპის გუნდში უთანხმოებაა



აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გუნდში სერიოზული განხეთქილებაა.

პრეზიდენტის მომხრეები აღაშფოთა სახელმწიფო მდივნის პოსტზე მიტ რომნის შესაძლო დანიშვნამ. რომნი რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიულ ფრთას განეკუთვნება და რუსეთთან ხისტი პოლიტიკის მომხრეა.

— რუსებთან მოლაპარაკება აუცილებელია, მაგრამ ეს ძალის პოზიციებიდან უნდა მოხდეს! წინააღმდეგ შემთხვევაში რუსები თავიანთ ნებას მოგვახვევენ, — ამბობს რომნი.

პოლიტიკოსები, რომლებიც არჩევნებში ტრამპს მხარს უჭერდნენ, ხაზს უსვამენ იმას, რომ რომნი ტრამპს არა თუ აკრიტიკებდა, არამედ ლანძღავდა კიდეც. ასე მაგალითად, ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას მან ტრამპს თაღლითიც კი უწოდა.

ტრამპის მხარდამჭერი გინგრიჩი, რომელსაც თავად გააჩნია სახელმწიფო მდივნობის პრეტენზია, აცხადებს:

— რომნის სახელმწიფო მდივნის პოსტზე დანიშვნა ჩვენი შეურაცხყოფაა!

ტრამპის გუნდში დისკუსიები გრძელდება.

# საფრანგეთი: თავდასხმა მოხუცებულთა თავშესაფარზე



საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში უცნობი მამაკაცი ბერებისა და მონაზვნებისთვის განკუთვნილ მოხუცებულთა თავშესაფარს თავს დაესხა.

მოკლულია მოხუცი მონაზონი.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# სტოლტენბერგი: „რუსეთი ნატოს გაფართოებას მშვიდად უნდა შეხვდეს“




ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსის გაფართოება გარდაუვალი პროცესია და რუსეთი ამას უნდა მშვიდად შეხვდეს.

— არ მესმის, რატომ აღიზიანებთ რუსებს ისეთი თემები, როგორიცაა ნატოს გაფართოება? ეს გარდაუვალია და ამას ვერავითარი პუტინი ვერ შეაჩერებს! — ამბობს სტოლტენბერგი.

# ტუსკი: „უკრაინა უვიზო რეჟიმს დეკემბერში მიიღებს“

ბრიუსელში უკრაინა-ევროკავშირის სამიტი შედგა. მას წინ ფრიად არასახარბიელო ფონი უძღოდა. ნიდერლანდებმა კვლავ ვერ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე. იქაური მთავრობა აცხადებს, რომ ჩატარებულმა რეფერენდუმმა უკრაინასთან ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხებში პრობლემა შექმნა, თუმცა ეს ალბათ უფრო თავად ნიდერლანდების პრობლემაა.

— უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების თაობაზე ხელშეკრულება მაინც მოქმედებს, თუმცა მას ახლავს ფორმულირება „დროებითი“.

უვიზო რეჟიმთან დაკავშირებითაც ევროკავშირში განსხვავებული პოზიციებია. ბრექსიტმა, აგრეთვე ევროსკეპტიკოსთა მომძლავრებამ, ლტოლვილების ნაკადმა სირიიდან ევროპას პრობლემები შეუქმნა. შესაბამისად, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის ზოგიერთი წარმომადგენელი არ ჩქარობს უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის მინიჭებას.

რუსეთმა სამიტის წინ უკრაინის „ამოყირავება“ სცადა. ოპერაცია „შატუნის“ მიზანიც ქაოსის გაღვივება და უკრაინის არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა იყო. ეს ჩაიშალა. შემდეგ რუსებმა ახალი პროვოკაციები მოაწყვეს. ჯერ ყირიმში ე.წ. „უკრაინელი ტერორისტები“ დაიჭირეს, შემდეგ ხარკოვსა და ზაპოროჟიეში 20 კაციანმა ჯგუფმა საჯაროდ საბჭოთა სიმღერები შეასრულა. ისინი ქალაქის ვაგზალზე შეიკრიბნენ, სადაც განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. რუსული ტელეარხების წარმომადგენლებიც უმალ იქ გაჩნდნენ და ყოველივე ფირზე აღბეჭდეს.

რუსები იმედოვნებდნენ, რომ ნაციონალისტები მათ დაარბევდნენ, ეს არ მოხდა. პროვოკატორებმაც იმღერეს და დაიშალნენ.




ამრიგად ბრიუსელის სამიტზე უკრაინა პირნათელი წარდგა. ევროპას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, რომ უვიზო რეჟიმის მინიჭება გადაედო. დონალდ ტუსკმაც განაცხადა, რომ მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

— დარწმუნებულ ვარ, რომ დეკემბრისთვის უკრაინას უვიზო რეჟიმს მიანიჭებენ, — თქვა ტუსკმა.

სამიტზე ორივე მხარე განსხვავებული პოზიციებით წარმოჩნდა. პეტრო პოროშენკომ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ევროპას მხარდაჭერა მოსთხოვა. ტუსკმა ამაზე მიუგო, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მანამ გაგრძელდება, სანამ მინსკის შეთანხმებები ბოლომდე არ შესრულდება.

— რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარი დონბასიდან და უკრაინას საზღვარზე კონტროლი გადასცეს. სანამ ეს არ მოხდება, სანქციები გაგრძელდება, — ამბობს ტუსკი.

ევროკავშირის წარმომადგენლები აქცენტს კორუფციასთან ბრძოლასა და ადმინისტრაციულ რეფორმაზე აკეთებდნენ. ანტიკორუფციული პროგრამის ასამოქმედებლად უკრაინას 15 მილიონი, ადმინისტრაციული რეფორმისთვის კი 104 მილიონი ევრო გადაეცა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა საჯაროდ გამოთქვა უკმაყოფილება ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის გადადების გამო. პეტრო პოროშენკოს განცხადება უფრო რბილი იყო. მან გამოთქვა იმედი, რომ მისი ქვეყანა ბოლოს და ბოლოს უვიზო რეჟიმს მიიღებს.

დონალდ ტუსკი, ჟან-კლოდ იუნკერი თუ ევროკავშირის სხვა ლიდერებიც ამ მხრივ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და თვლიან, რომ უვიზო რეჟიმს უკრაინა უკვე დეკემბერში მიიღებს.

# ევროკავშირი თურქეთთან მოლაპარაკებებს წყვეტს



ევროპარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა თურქეთთან ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების შეწყვეტას. მიზეზი თურქეთში ავტორიტარული ტენდენციების ზრდა, რეპრესიები და სიკვდილით დასჯის შესაძლო გაუქმებაა.

— ვფიქრობ, ჩვენი მოქალაქეები ამ გადაწყვეტილებას უნდა მშვიდად შეხვდნენ. არ არის აუცილებელი, ნებისმიერ ფასად ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვიფიქროთ, — განაცხადა პრეზიდენტმა ერდოღანმა.

პარალელურად გრძელდება თურქეთის არმიის ოპერაციები სირიაში. თურქეთის გენშტაბმა დაადასტურა, რომ ბრძოლებში 3 თურქი ჯარისკაცი დაიღუპა.

— ჩვენ განვაგრძობთ სირიის თავისუფალი არმიის მხარდაჭერას და ტერორისტებისგან სირიის ტერიტორიების გაწმენდას, — ნათქვამია განცხადებაში.

# იაპონიას კურილებზე რუსული რაკეტების განთავსება არ მოეწონა

იაპონიის პრემიერმა აბემ სინანული გამოთქვა კურილის კუნძულებზე რუსული რაკეტებს განთავსების გამო.

— ასეთი ნაბიჯი რუსეთ-იაპონიას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს ეწინააღმდეგება, — თქვა მან.

პარალელურად აბემ ხაზი გაუსვა, რომ კურილის კუნძულები იაპონიის განუყოფელი ნაწილია.

— ეს ჩვენი ქვეყნის ნაწილია. ადრე თუ გვიან, მათ აუცილებლად დავიბრუნებთ, — განაცხადა აბემ.

# ეუთო: მინსკის ხელშეკრულებები ფორმალობად იქცა

აშშ-ის წარმომადგენელმა ეუთოში ბაერმა განაცხადა, რომ გასულ კვირას დონბასში მინსკის ხელშეკრულებების დარღვევის რეკორდული რაოდენობაა დაფიქსირებული.

გახშირდა სეპარატისტების მხრიდან საერთაშორისო დამკვირვებლების დაშინება და შეურაცხყოფა. პარალელურად რუსები და სეპარატისტები გულმოდგინედ ცდილობენ მარიუპოლისკენ გაჭრას, რაც მარცხით სრულდება. ასეთივე შედეგი მოჰყვა ავდეევკის და პრომზონის დაბრუნების მცდელობებს. რუსებმა დიდი ზარალი განიცადეს და უკან დაიხიეს.

— რუსი ჯარისკაცები და სეპარატისტი მებრძოლები ჯავრს ეუთოს მისიის დამკვირვებლებზე იყრიან! მინსკის ხელშეკრულებებიც, ფაქტობრივად, ფორმალობად იქცა, — ამბობს ბაერი.

# ტერაქტი ერაყში



ერაყის ქალაქ ჰილის (მდებარეობს ბაღდადიდან 100 კმ-ის დაშორებით) ავტოგასამართ სადგურზე ტერაქტი მოხდა.

აფეთქდა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც საბარგო მანქანის საბარგულში იდო. შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა, 20 დაშავდა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო. ინტერნეტში გავრცელდა განცხადება, სადაც ექსტრემისტები აცხადებენ, რომ ტერაქტი წარმოადგენს შურისძიებას მოსულზე შეტევის გამო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სალვადორის ნაპირებთან მიწისძვრა მოხდა

სალვადორის ნაპირებთან მიწისძვრა მოხდა. წარმოიქმნა ცუნამი. მთავრობამ სანაპიროს მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. არსებობს საფრთხე, რომ ცუნამი ნიკარაგუასაც მიაღწევს. იქ საგანგებო მდგომარეობა უკვე გამოცხადდა.



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ევროპა ლონდონური დერბის იმედად

## სტატისტიკა, ფსონები

**ევროპაში მორიგი ტურია. დიდად არაფრით გამორჩეული, მაგრამ ყოველთვის საინტერესო. ერთადერთი ცნობადი დერბია — ლონდონური, ჩელსი-ტოტენჰემი.**



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | ბარნლი-სიტი | 9.5 | 5.5 | 1.33 |
| 26.11 | ლივერპული-სანდერლენდი | 1.18 | 7.5 | 17.0 |
| 26.11 | სუონსი-კრ.პალასი | 2.6 | 3.4 | 2.8 |
| 26.11 | ლესტერი-მიდლსბრო | 1.91 | 3.5 | 4.33 |
| 26.11 | ჰალი-ვესტ ბრომვიჩი | 3.0 | 3.2 | 2.5 |
| 26.11 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.75 | 3.75 | 5.0 |
| 27.11 | უოტფორდი-სტოკი | 2.37 | 3.25 | 3.25 |
| 27.11 | არსენალი-ბორნმუთი | 1.4 | 4.8 | 8.5 |
| 27.11 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 2.1 | 3.4 | 3.75 |
| 27.11 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1.44 | 4.5 | 7.5 |

**ბარნლი-სიტი**

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

სიტი: ***ტრავმ***-ფაბიან დელფი

**ლივერპული-სანდერლენდი**

ლივერპული: ***ტრავმ***-დანი ინგსი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ჯეკ როდველი, ლი კატერმოლი, ფაბიო ბორინი

**სუონსი-კრ.პალასი**

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

კრ.პალასი: ***ტრავმ***-სტივ მანდადა, კრისტიან ბენტეკე, პაპე სუარე

**ლესტერი-მიდლსბრო**

ლესტერი: ***ტრავმ***-კასპერ შმეიხელი, ნამპალის მენდი

მიდლსბრო: ***ტრავმ***-დანიელ აიალა

**ჰალი-ვესტ ბრომვიჩი**

ჰალი: ***ტრავმ***-შონ მელოუნი, აბელ ერნანდესი, უილიამ კინი, ენდრიუ რობერტსონი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

**ჩელსი-ტოტენჰემი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ბენ დევისი, ერიკ ლამელა, ტობი ალდერვაიელდი

**უოტფორდი-სტოკი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-კრისტიან კაბასელე, კრეიგ კაჩკარტი, ისააკ სუკესი, კენედი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯეფ კამერონი, გლენ ჯონსონი

**არსენალი-ბორნმუთი**

არსენალი: ***ტრავმ***-ჰექტორ ბერელინი, ლუკას პერესი, სანტი კაზორლა, დანი უელბეკი, პერ მერტეზაკერი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-სტივ კოკი

**საუთჰემპტონი-ევერტონი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-შონ ლონგი, მატ ტაგერტი, ჯერემი პიდი

ევერტონი: ***ტრავმ***-არუნა კონე

**მანჩესტერი-ვესტ ჰემი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მარუან ფელაინი, კრის სმოლინგი, ერიკ ბაილი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-გოკჰან ტური, სემ ბირამი, არტურ მასუაკუ, ენდი კეროლი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-9 | 28 |
| 2.ლივერპული | 12 | 8 | 3 | 1 | 30-14 | 27 |
| 3.სიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 27-11 | 27 |
| 4.არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-12 | 25 |
| 5.ტოტენჰემი | 12 | 6 | 6 | 0 | 18-8 | 24 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-14 | 19 |
| 7.ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-14 | 19 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-15 | 16 |
| 10.ბორნმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 11.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-12 | 14 |
| 12.ბარნლი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-19 | 14 |
| 13.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-19 | 13 |
| 14.ლესტერი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-20 | 12 |
| 15.მიდლსბრო | 12 | 2 | 5 | 5 | 10-13 | 11 |
| 16.კრ.პალასი | 12 | 3 | 2 | 7 | 17-21 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-23 | 11 |
| 18.ჰალი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-27 | 10 |
| 19.სანდერლენდი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-21 | 8 |
| 20.სუონსი | 12 | 1 | 3 | 8 | 11-22 | 6 |


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.


### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | მალაგა-დეპორტივო | 2.0 | 3.4 | 4.0 |
| 26.11 | რეალი-ხიხონი | 1.06 | 15.0 | 34.0 |
| 26.11 | ესპანიოლი-ლეგანესი | 1.91 | 3.4 | 4.5 |
| 25.11 | სევილია-ვალენსია | 1.75 | 3.8 | 4.8 |
| 27.11 | ვილიარეალი-ალავესი | 1.5 | 4.0 | 8.0 |
| 27.11 | ოსასუნა-ატლეტიკო | 11.0 | 5.0 | 1.33 |
| 27.11 | სელტა-გრანადა | 1.55 | 4.2 | 6.5 |
| 27.11 | სოსიედადი-ბარსელონა | 6.5 | 4.5 | 1.5 |
| 28.11 | ლას პალმასი-ბილბაო | 2.6 | 3.3 | 2.8 |

**მალაგა-დეპორტივო**

მალაგა: ***ტრავმ***-ბაქარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ჩარლესი, კეკო გონტანი, ველინგტონი

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლაურე, ბორხა, ხოსელუ

**რეალი-ხიხონი**

რეალი: ***ტრავმ***-ალვარო მორატა, ტონი კროოსი, პეპე, კაზემირო

ხიხონი: ***ტრავმ***-აკრამ აფიფი, დანიელ ნდი, ჟან-სილვიან ბაბინი

**ესპანიოლი-ლეგანესი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ალვარო ვასკესი

ლეგანესი: ***ტრავმ***-კონე, ომარ რამოსი

**სევილია-ვალენსია**

სევილია: ***ტრავმ***-სამირ ნასრი, კარლოს ფერნანდესი, ბენუა ტრემულანისი

ვალენსია: ***ტრავმ***-ფედერიკო კარტაბია

**ვილიარეალი-ალავესი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-რობერტო სოლდადო

ალავესი: ***ტრავმ***-ვიქტორი

**ოსასუნა-ატლეტიკო**

ოსასუნა: ***ტრავმ***-ხაიმე რომერო, დიდიე დიუგარი, ხავიერ ფლანო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აუგუსტო ფერნანდესი

**სელტა-გრანადა**

სელტა: ***ტრავმ***-ფაბიან ორელანა

გრანადა: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

**სოსიედადი-ბარსელონა**

სოსიედადი: ***ტრავმ***-რუბენ პარდო, მარკელ ბერგარა

ბარსელონა: ***ტრავმ***-სამუელ უმტიტი, ლუის სუარესი, ანდრეს ინიესტა

**ლას პალმასი-ბილბაო**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

ბილბაო: ***ტრავმ***-ოსკარ დე მარკოსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 9 | 3 | 0 | 34-10 | 30 |
| 2.ბარსელონა | 12 | 8 | 2 | 2 | 32-13 | 26 |
| 3.სევილია | 12 | 7 | 3 | 2 | 22-17 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 4 | 2 | 19-8 | 22 |
| 5.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 21-13 | 22 |
| 6.ატლეტიკო | 12 | 6 | 3 | 3 | 25-11 | 21 |
| 7.ბილბაო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-13 | 20 |
| 8.ეიბარი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-15 | 18 |
| 9.სელტა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| 10.ლას პალმასი | 12 | 4 | 4 | 4 | 21-20 | 16 |
| 11.მალაგა | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 12.ესპანიოლი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-17 | 15 |
| 13.ბეტისი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| 14.ალავესი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-16 | 13 |
| 15.ლეგანესი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-22 | 13 |
| 16.ვალენსია | 12 | 3 | 2 | 7 | 16-22 | 11 |
| 17.დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 10-19 | 10 |
| 18.ხიხონი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-25 | 9 |
| 19.ოსასუნა | 12 | 1 | 4 | 7 | 12-23 | 7 |
| 20.გრანადა | 12 | 0 | 5 | 7 | 10-26 | 5 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.4 | 3.4 | 3.0 |
| 26.11 | გლადბახი-ჰოფენჰაიმი | 2.0 | 3.75 | 3.6 |
| 26.11 | ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 2.9 | 3.25 | 2.6 |
| 26.11 | კიოლნი-აუგსბურგი | 1.75 | 3.5 | 5.5 |
| 26.11 | აინტრახტი-დორტმუნდი | 5.0 | 4.2 | 1.67 |
| 26.11 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.3 | 6.0 | 10.0 |
| 27.11 | შალკე-დარმშტადი | 1.4 | 4.8 | 8.5 |
| 27.11 | ჰერტა-მაინცი | 2.0 | 3.5 | 4.0 |

**ჰამბურგი-ვერდერი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ალბინ ეკდალი, რენე ადლერი, ემირ სპაჰიჩი

ვერდერი: ***ტრავმ***-ლამინე სანე, ფალოუ დიანე, სამბუ იატაბარე, იაროსლავ დრობნი, მაქსიმილიან ეგესტეინი, ლუკა კალდიროლა

**გლადბახი-ჰოფენჰაიმი**

გლადბახი: ***ტრავმ***-პატრიკ ჰერმანი, ნიკო შულცი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-პირმინ შვეგლერი

**ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-ალფრედო მორალესი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ჯულიან დრექსლერი, ბრუნო ენრიკე

**კიოლნი-აუგსბურგი**

კიოლნი: ***ტრავმ***-ტიმო ჰორნი, დომინიკ მარო, ლეონარდო ბიტენკურტი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-კოო იანჩოლი, რაულ ბობადილა, ალფრედ ფინბოგასონი, კაიბუ

**აინტრახტი-დორტმუნდი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-შანი ტარაშაი, ტალებ ტავატა, გილერმო ვარელა

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სებასტიან როდე

**ბაიერნი-ლევერკუზენი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-კინგსლი კომანი, არიენ რობენი, ხავი მარტინესი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ქარიმ ბელარაბი

**შალკე-დარმშტადი**

შალკე: ***ტრავმ***-ფრანკო დი სანტო, კლაას-იან ჰუნტელაარი, ბრეელ ემბოლო

დარმშტადი: ***ტრავმ***-რომან ბეჟიაკი, იან როზენტალი

**ჰერტა-მაინცი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ვლადიმირ დარიდა

მაინცი: ***ტრავმ***-სუატ სერდარი, კრისტიან კლემენსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიპციგი | 11 | 8 | 3 | 0 | 23-9 | 27 |
| 2.ბაიერნი | 11 | 7 | 3 | 1 | 24-7 | 24 |
| 3.დორტმუნდი | 11 | 6 | 3 | 2 | 26-12 | 21 |
| 4.კიოლნი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-8 | 21 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 11 | 5 | 6 | 0 | 20-13 | 21 |
| 6.ჰერტა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-10 | 21 |
| 7.აინტრახტი | 11 | 6 | 3 | 2 | 16-9 | 21 |
| 8.მაინცი | 11 | 5 | 2 | 4 | 21-20 | 17 |
| 9.ლევერკუზენი | 11 | 5 | 1 | 5 | 18-18 | 16 |
| 10.ფრაიბურგი | 11 | 5 | 0 | 6 | 15-20 | 15 |
| 11.შალკე | 11 | 4 | 2 | 5 | 14-12 | 14 |
| 12.აუგსბურგი | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 13.გლადბახი | 11 | 3 | 3 | 5 | 11-17 | 12 |
| 14.ვოლფსბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 9-14 | 9 |
| 15.დარმშტადტი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-21 | 8 |
| 16.ვერდერი | 11 | 2 | 1 | 8 | 13-29 | 7 |
| 17.ინგოლშტადტი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-21 | 5 |
| 18.ჰამბურგი | 11 | 0 | 3 | 8 | 6-25 | 3 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | ტორინო-კიევო | 1.73 | 3.6 | 5.5 |
| 26.11 | ემპოლი-მილანი | 4.0 | 3.3 | 2.05 |
| 27.11 | პალერმო-ლაციო | 5.5 | 3.6 | 1.7 |
| 27.11 | ბოლონია-ატალანტა | 3.0 | 3.25 | 2.5 |
| 27.11 | ჯენოა-იუვენტუსი | 6.5 | 3.8 | 1.6 |
| 27.11 | კალიარი-უდინეზე | 2.45 | 3.25 | 3.1 |
| 27.11 | კროტონე-სამპდორია | 3.3 | 3.3 | 2.3 |
| 27.11 | რომა-პესკარა | 1.2 | 7.5 | 13.0 |
| 28.11 | ნაპოლი-სასუოლო | 1.3 | 6.0 | 10.0 |
| 28.11 | ინტერი-ფიორენტინა | 2.0 | 3.6 | 3.8 |

**ტორინო-კიევო**

ტორინო: ***ტრავმ***-ჯუზეპე ვივესი, კრისტიან მოლინარო

კიევო: ***ტრავმ***-ვალტერ ბირსა, პერპარ ჰეტემაი

**ემპოლი-მილანი**

ემპოლი: ***ტრავმ***-მარკო ძამბელი, ლევან მჭედლიძე, ვინსენტ ლორინი

მილანი: ***ტრავმ***-ალესიო რომანიოლი, რიკარდო მონტოლივო, ანდრეა ბერტოლაჩი

**პალერმო-ლაციო**

პალერმო: ***ტრავმ***-სლობოდან რაიკოვიჩი, ნორბერტ ბალო, ჯანკარლო გონსალესი, აკურსიო ბენტივენია

ლაციო: ***ტრავმ***-სტეფან დე ვრეი, ჯორდან ლუკაკუ

**ბოლონია-ატალანტა**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფილიპ ჰელანდერი, ფედერიკო დი ფრანჩესკო, სადიქ უმარი, სიმონე ვერდი

ატალანტა: ***ტრავმ***-ბაქარი დრამე, ბრაიან კაბეზასი, აბდულაი კონკო

**ჯენოა-იუვენტუსი**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ანდრეა ბარძალი, პაულო დიბალა, მარკო პიაცა

**კალიარი-უდინეზე**

კალიარი: ***ტრავმ***-მარკო კაპუანო, ფაბიო პისაკანე, პანაგიოტის ტასიდისი, ნიკოლა მურუ, ჟოაო პედრო, არტურ იონიტა

უდინეზე: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა, ემილ ჰალფრედსონი, პაბლო არმერო, ევანდრო

**კროტონე-სამპდორია**

კროტონე: ***ტრავმ***-კლაიტონ მაჩადო

სამპდორია: ***ტრავმ***-ემილიანო ვივიანო, დანიელ პავლოვიჩი

**რომა-პესკარა**

რომა: ***ტრავმ***-ლეანდრო პარედესი, ალესანდრო პლორენცი, ტომას ვერმალენი

პესკარა: ***ტრავმ***-ვალერიო ვერე, ანდრეა კოდა, ალეხანდრო მიტრიტა, ნორბერტ გიომბერი

**ნაპოლი-სასუოლო**

ნაპოლი: ***ტრავმ***-მანოლო გაბიადინი, არკადიუშ მილიკი

სასუოლო: ***ტრავმ***-მატეო პოლიტანო, ალფრედ დანკანი, დომენიკო ბერარდი

**ინტერი-ფიორენტინა**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 11 | 0 | 2 | 28-9 | 33 |
| 2.რომა | 13 | 8 | 2 | 3 | 30-14 | 26 |
| 3.მილანი | 13 | 8 | 2 | 3 | 21-17 | 26 |
| 4.ლაციო | 13 | 7 | 4 | 2 | 26-14 | 25 |
| 5.ატალანტა | 13 | 8 | 1 | 4 | 21-14 | 25 |
| 6.ნაპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-14 | 24 |
| 7.ტორინო | 13 | 6 | 4 | 3 | 29-16 | 22 |
| 8.ფიორენტინა | 12 | 5 | 5 | 2 | 18-11 | 20 |
| 9.ინტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-16 | 18 |
| 10.კიევო | 13 | 5 | 3 | 5 | 13-14 | 18 |
| 11.სამპდორია | 13 | 5 | 3 | 5 | 16-19 | 18 |
| 12.ჯენოა | 12 | 4 | 4 | 4 | 14-14 | 16 |
| 13.ბოლონია | 13 | 4 | 4 | 5 | 14-19 | 16 |
| 14.კალიარი | 13 | 5 | 1 | 7 | 20-30 | 16 |
| 15.უდინეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 17-21 | 15 |
| 16.სასუოლო | 13 | 4 | 1 | 8 | 16-25 | 13 |
| 17.ემპოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 6-17 | 10 |
| 18.პესკარა | 13 | 1 | 4 | 8 | 9-23 | 7 |
| 19.პალერმო | 13 | 1 | 3 | 9 | 10-26 | 6 |
| 20.კროტონე | 13 | 1 | 2 | 10 | 10-26 | 5 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | მონაკო-მარსელი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 26.11 | კაენი-გენგამი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 26.11 | მეცი-ლორიანი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 26.11 | ბორდო-დიჟონი | 1.73 | 3.6 | 5.0 |
| 26.11 | მონპელიე-ნანსი | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 27.11 | ანჟე-სტ.ეტიენი | 2.5 | 2.9 | 3.2 |
| 27.11 | ნიცა-ბასტია | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 27.11 | ლიონი-პსჟ | 3.75 | 3.5 | 2.0 |

**მონაკო-მარსელი**

მონაკო: ***ტრავმ***-ჟოაია მოუტინიუ, ალმამი ტურე, ნაბილ დირარი

მარსელი: ***ტრავმ***-აარონ ლეია ისეკა, ტომაშ ჰუბოჩანი, აბუ დიაბი

**კაენი-გენგამი**

კაენი: ***ტრავმ***-ემანუელ იმოროუ, ჟულიენ ფერე, მუჰამადუ დაბო

გენგამი: ***ტრავმ***-იანის სალიბური, ფლორენტ ბალმო

**მეცი-ლორიანი**

მეცი: ***ტრავმ***-მევლუტ ერდინჩი, ფლორენ მოლე

ლორიანი: ***ტრავმ***-ჯიმი კაბო, ბენჯამინ მიკანჯო, ლინდსეი როუზი, ბენჯამინ ჟანო

**ბორდო-დიჟონი**

ბორდო: ***ტრავმ***-სედრიკ კარასკო, ტომას ტურე

დიჟონი: ***ტრავმ***-ვინსენტ რუფლი, ფლორენ ბალმო

**მონპელიე-ნანსი**

მონპელიე: ***ტრავმ***-იაკუბა სილა, კაზიმირ ნინგა, ვილიამ რემი, დანიელ კონრე

ნანსი: ***ტრავმ***-ალუ დიარა, მოდუ დიანე

**ანჟე-სტ.ეტიენი**

ანჟე: ***ტრავმ***-დენის პეტრიჩი, ბილი კეტკეოპომპონე

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ფლორენტინ პოგბა, პიერ გაბრიელი, პიერ პოლომატი, რობერტ ბერიჩი, რომან ჰამუმა

**ნიცა-ბასტია**

ნიცა: ***ტრავმ***-პოლ ბეისი

ბასტია: ***ტრავმ***-ალექსანდერ ჯიკუ, აბდელ ელ კაუტარი

**ლიონი-პსჟ**

ლიონი: ***ტრავმ***-რაშიდ გეზალი, ემანუელ მამანა, ნიკოლას ნკულუ

პსჟ: ***ტრავმ***-ადრიენ რაბიო, ალფონს არეოლა, ლავინ კურზავა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 13 | 10 | 2 | 1 | 25-9 | 32 |
| 2.მონაკო | 13 | 9 | 2 | 2 | 39-15 | 29 |
| 3.პსჟ | 13 | 9 | 2 | 2 | 26-7 | 29 |
| 4.ლიონი | 13 | 7 | 1 | 5 | 21-16 | 22 |
| 5.გენგამი | 13 | 6 | 4 | 3 | 18-13 | 22 |
| 6.რენი | 13 | 6 | 3 | 4 | 14-17 | 21 |
| 7.ბორდო | 13 | 5 | 5 | 3 | 16-14 | 20 |
| 8.ტულუზა | 13 | 5 | 4 | 4 | 17-12 | 19 |
| 9.სტ.ეტიენი | 13 | 4 | 6 | 3 | 14-11 | 18 |
| 10.ანჟე | 13 | 5 | 3 | 5 | 12-12 | 18 |
| 11.მარსელი | 13 | 4 | 5 | 4 | 13-13 | 17 |
| 12.მეცი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-22 | 17 |
| 13.მონპელიე | 13 | 3 | 6 | 4 | 20-27 | 15 |
| 14.დიჟონი | 13 | 3 | 5 | 5 | 16-18 | 14 |
| 15.კაენი | 13 | 4 | 1 | 8 | 10-22 | 13 |
| 16.ბასტია | 13 | 3 | 3 | 7 | 10-13 | 12 |
| 17.ნანტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-18 | 12 |
| 18.ნანსი | 13 | 3 | 3 | 7 | 8-19 | 12 |
| 19.ლილი | 13 | 3 | 1 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლორიანი | 13 | 2 | 1 | 10 | 9-23 | 7 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# როგორ უნდა მოიქცეს მშობელი კრიტიკულ სიტუაციაში?

ეკა ირემაშვილი

ანაფილაქსიური შოკი, კრუპი, ურტიკარია ანუ ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ფებრალური გულყრა — ეს სიტყვები მშობლებს განსაკუთრებულად აშინებთ.

რა მოვიმოქმედოთ დაავადების აღმოჩენისას? როგორ უნდა მოიქცეს მშობელი კრიტიკულ სიტუაციაში? როგორ ამოვიცნოთ ანაფილაქსიური შოკი, კრუპი, ურტიკარია ანუ ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება თუ ფებრალური გულყრა, ამ თემაზე მშობლებს რჩევებს „ევექსის დიაგნოსტიკური ცენტრის“ პედიატრიული სამსახურის უფროსი თემურ მიქელაძე აძლევს:

***— ბატონო თემურ, როგორ უნდა მოიქცეს მშობელი კრიტიკულ სიტუაციაში?***

— ანაფილაქსიური შოკი — ორგანიზმში ალერგენის განმეორებით მოხვედრის შემდეგ განვითარებული დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციაა. იგი განისაზღვრება, როგორც სერიოზული ალერგიული ან ჰიპერმგრძნობელობის რეაქცია, რომელიც იწყება სწრაფად და შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი.

***— რას ეფუძნება ანაფილაქსიის დიაგნოზი?***

— ანაფილაქსიის დიაგნოზი ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, კლინიკურ სიმპტომებს და ნიშნებს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე.

პირველ ეტაპზე, საჭიროა სასუნთქი გზების გამავლობის შენარჩუნება. პაციენტს ვათავსებთ მარჯვენა გვერდზე, ოდნავ გადაწეული თავით. თუ ანაფილაქსია განპირობებულია ნაკბენით, მაგალითად, გველის ნაკბენით, ნაკბენის ზემოთ ვათავსებთ ლახტს. კანქვეშ ან ვენაში შეგვყავს ადრენალინი — ეპინეფრინი შესაბამის დოზებში. თუ პაციენტს ანამნეზში აღენიშნება სხვადასხვა ალერგიული ფაქტი, მაგალითად, ანაფილაქსია, კვინკეს შეშუპება, მას თან ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადრენალინის შესაბამისი დოზა.

***— რამდენად ხშირია ანაფილაქსიური შოკის განვითარება?***

— მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) მონაცემებით ანაფილაქსიური შოკი შეიძლება განუვითარდეს 100-დან 2-3 შემთხვევაში.

***— რას გვეტყვით კრუპის შესახებ?***

— კრუპი ხორხისა და ქვემო სასუნთქი გზების ანთებით და შეშუპებით მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ხასიათდება მოხრჩობის შეგრძნებით და ჩახლეჩილი ხმით ხველით. შეიძლება იყოს ვირუსული ე.წ. ცრუ კრუპი — პარაგრიპი, გრიპი, რინოვირუსი და ბაქტერიული ე.წ. ჭეშმარიტი დიფტერიული კრუპი, ჰემოფოლური ჩხირით განპირობებული ეპიგლოტიტი.



უფრო ხშირად კრუპი ვირუსულია და ძირითადად ვითარდება 6 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებში. მისთვის დამახასიათებელია ჩახლეჩილი ხმით, ძაღლისმიერი ყეფვითი ხასიათის ხველა, უეცრად, განსაკუთრებით ღამის საათებში. საშიშროების ნიშნებია: შეუპოვარი ნერწყვდენა — ჰიპერსალივაცია, კანის მოლურჯო ელფერი — ციანოზური, სუნთქვის გახშირება 80-ზე ზემოთ 1 წუთში.

***— როგორია პირველადი დახმარება ამ დროს?***

— ბავშვი უნდა გავიყვანოთ გარეთ და ვასუნთქოთ ცივი ჰაერი. კიდურები ჩავაყოფინოთ თბილ აბაზანაში, რათა მოხდეს სიცხის ნაკადის დეცენტრალიზაცია. პერორალურად შესაძლებელია ჰორმონის (დექსამეტაზონის 0,6 მგ) მიღება. საშიშროების ნიშნების შეფასების მიზნით აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.

ვირუსული კრუპის შემთხვევები საკმაოდ ხშირია გვიან შემოდგომაზე და ადრეულ გაზაფხულზე. უფრო ხშირია კრუპის პირველი ხარისხი, რომელიც ჰოსპიტალიზაციის გარეშე, სახლის პირობებშიც შესაძლებელია, რომ მოიხსნას.

***— რაც შეეხება ურტიკარიას ანუ ჭინჭრის ციებას...***

— ურტიკარია ანუ ჭინჭრის ციება ვითარდება ალერგენთან კონტაქტის შემდეგ. მისთვის დამახასიათებელია ჭინჭრის დასუსხვის მსგავსი ჰიპერემიული წითელი გამონაყარი, რომელიც გრძელდება რამდენიმე წუთი, დღე ან თვე.

ქავილის შემდეგ გამონაყარი ძლიერდება. ურტიკარია ითვლება ქრონიკულად თუ გამონაყარი რჩება 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. გამონაყარი სხვადასხვა ფორმის და ზომისაა. იგი შეიძლება ლოკალური უბნებიდან გავრცელდეს მთელ ტანზე, ძირითადად გვხვდება ხელებზე, ფეხებსა და სახეზე.

ცალკე შეიძლება გამოიყოს ალერგიული წარმოშობის ურტიკარია: სიცივის ურტიკარია, სითბოს ურტიკარია, წნევის მოქმედების შედეგად განვითარებული, მზის სხივების მოქმედების შედეგად განვითარებული, ვიბრაციული ურტიკარია და კვინკეს შეშუპება, აქვაგენური ურტიკარია.

კვინკეს შეშუპება მსგავსია ურტიკარიისა, თუმცა მისთვის არ არის დამახასიათებელი სიწითლე და ქავილი. კვინკეს შეშუპების დროს ალერგიული რეაქცია ვრცელდება უფრო ღრმა ქსოვილებზე.

მშობელმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს ექიმს. ამ დროს აუცილებელია ექიმის დროული კონსულტაცია და სიმძიმის შეფასების მიხედვით ჰოსპიტალიზაცია.

***— როდის ვითარდება ფებრალური გულყრა?***

— ფებრალურ გულყრაზე შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, თუ ის განვითარდა 38 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე და ბავშვს ანამნეზში აქვს ეპილეფსიური გულყრები. იგი ვითარდება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში. ძირითადი მიზეზებია რესპირაციულ ვირუსული ინფექცია და აცრის შემდგომ განვითარებული ფებრალური მდგომარეობები.

ფებრალური გულყრის დროს ბავშვი უნდა მოვათავსოთ მყარ ზედაპირზე, მარჯვენა გვერდზე, რათა თავიდან ავიცილოთ საკვები მასების ასპირაცია.

არ უნდა გავაღებინოთ პირი ხელით ან მეტალის სხვადასხვა საშუალებით იქნება ეს კოვზი თუ დანა. ოთახი სწრაფად უნდა გავანიავოთ, გამოვიყენოთ ტემპერატურის დაწევის ფიზიკური მეთოდები, სიცხის დამწევი საშუალებები მივცეთ მხოლოდ ფებრალური გულყრის ჩათავების შემდგომ.

***— ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა რა შეგიძლიათ მისცეთ მშობლებს ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში?***

— მშობლებს ვურჩევ, არ დაიბნენ, არ აყვნენ პანიკას და არ მიატოვონ ბავშვი კრიტიკულ სიტუაციაში.

## განცხადებები

### მკურნალობა

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

-სპორტი

# ილიას ზუროსი: „მეამაყება, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გავიყვან“

სტამბოლში გამართული კენჭისყრის შედეგად ევრობასკეტის მონაწილე 24 ნაკრები ჯგუფებში განაწილდა. საქართველოს საკალათბურთო ნაკრები ისრაელის ჯგუფში მოხვდა, რომელიც მასპინძლებთან ერთად ლიტვამ, იტალიამ, გერმანიამ და უკრაინამ შეავსეს.

ვნახოთ, რამდენად მოახერხებს ჩვენი ნაკრები თავის წარმოჩენას ამ ევროპის ჩემპიონატზე. ცხადია, ბევრი რამ მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული.

საინტერესოა, რას ფიქრობს ილიას ზუროსი.

— კენჭისყრის შეფასებასა და ჯგუფების სიძლიერეზე ლაპარაკი ჩვენი ნაკრების მდგომარეობიდან უნდა დავიწყოთ. პირველ რიგში ისაა ჩემთვის მნიშვნელოვანი, რომ მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე მწყობრში მალე ჩადგნენ და ფორმაში შევიდნენ, ხოლო სხვა მოთამაშეებმა სეზონი ტრავმების გარეშე ჩაამთავრონ. მთავარია, ყველა ჯანმრთელად იყოს, რის შემდეგაც შეიძლება ჩვენს შესაძლებლობებსა და შანსებზე საუბარი.

***— საქართველოს ნაკრებს ორი ვარიანტი ჰქონდა და თქვენი აზრით, რომელ ჯგუფში ჯობდა, მოხვედრილიყო?***

— მოსახდენი უკვე მოხდა. ახლა იმაზე ლაპარაკი, რომელი ჯობდა, არასერიოზულია. ევროპის ჩემპიონატზე სუსტი და ძლიერი ნაკრები არ არსებობს. მეორეც, ჯერ ჩვენ არ ვიცით, ვინ რა შემადგენლობას მოუყრის თავს.

***— გეთანხმებით, მაგრამ ხომ არსებობენ ფავორიტები?***

— ზოგადად, ფურცელზე ჩამოწერილი ჯგუფებიდან ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. თუმცა ვიმეორებ, ფავორიტობა აბსტრაქტული ცნებაა, რადგან ძალიან ხშირად მომხდარა, რომ ფავორიტს წაუგია, ხოლო იმას, რომელიც განწირული ჩანდა, გაუმარჯვია. ამიტომაც ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყველა მეტოქე იმაზე მეტად უნდა შევაფასოთ, ვიდრე ის ზოგადად იმსახურებს.



***— იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, როგორ მოემზადება გუნდი?***

— რა თქმა უნდა, კარგად დაგეგმილი მოსამზადებელი პერიოდი დიდად განსაზღვრავს გუნდის შესაძლებლობებს. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ამ მხრივ კარგი სამუშაო გასწია გასულ სეზონში და ახლაც ასეა. შეთავაზებები მიღებული გვაქვს, არის რამდენიმე ძალიან კარგი ტურნირის ვარიანტი და საბოლოო შეთანხმებას ველოდებით. ამ ეტაპზე იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრებს არაერთ უმაღლესი დონის ნაკრებთან მოუწევს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში თამაში.

***— ევრობასკეტზე რა შედეგი იქნება თქვენთვის მისაღები?***

— მეამაყება, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე გავიყვან. მთავარი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ისევ უძლიერესთა შორისაა და ახლა უფრო მეტი გამოცდილებით ხვდება კონტინენტის პირველობას. რა იქნება, ევროპის ჩემპიონატზე, გამოჩნდება. ვიცი, რომ ისრაელში ბევრი ქართველი ცხოვრობს და იმედი მაქვს, მხარდაჭერა არ მოგვაკლდება.

მ. ჟ.

# ქართული ავანგარდული მხატვრობა მოსკოვში გამოიფინება

„ქართული ავანგარდი“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც მოსკოვში პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში 12 დეკემბერს გაიხსნება.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება 1900-1930-იან წლებში შექმნილი უნიკალური ნამუშევრები. დამთვალიერებელი იხილავს ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, კირილე ზდანევიჩის, ელენე ახვლედიანის, ირაკლი გამრეკელის, პეტრე ოცხელის შემოქმედებას.



გამოფენაზე საქართველოსა და რუსეთის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული 200-მდე ნახატი იქნება ექსპონირებული. სამსართულიან მუზეუმში მთელი სივრცე ქართულ ავანგარდს დაეთმობა. გამოფენის ორგანიზატორების ინფორმაციით, ექსპოზიციის მიზანია დამთვალიერებელს გააცნოს ქართული ავანგარდის ნამდვილი მარგალიტები და ამავე დროს ხაზი გაუსვას ორი მეზობელი ქვეყნის, რუსეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

„ქართული ავანგარდი“ რუსეთის დედაქალაქში 12 მარტამდე იქნება წარმოდგენილი.

ეკა ირემაშვილი

# პატიმარი ქალები საკუთარ ნამუშევრებს სამებაში აჩვენებენ

27 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მოეწყობა საღამო სახელწოდებით „მადლიერების დღე“, სადაც გამოფენილი იქნება ყოფილი პატიმრებისა და №5 დაწესებულების პატიმარ ქალთა ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ნაქარგები, თექა და გობელენი. საღამოს წაიყვანს პოეტი მაია კახიძე, წაიკითხავენ პოეტ მარინა ქაციბაიას ლექსებს, მონაწილეობას მიიღებენ საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ანსამბლები და მოწვეული სტუმრები. საღამოს საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის და საპატრიარქოს წარმომადგენლები, რეჟისორი მანანა კვირკველია და სცენარისტი ქეთი პატარაია, მსახიობები, ფსიქოლოგ-კონსულტანტები. საღამოს მიზანია, ხელი შეუწყოს ყოფილ მსჯავრდებულებს, რათა მათ შეძლონ თავიანთი სამოქალაქო უფლებების რეალიზება და საზოგადოების ცხოვრების რიტმში ჩართვა. დამსწრე საზოგადოებამ კარგად გაიაზროს თუ რას ნიშნავს, რას გრძნობს პატიმარი, როცა ციხიდან გამოდის, როგორ უჭირს მას საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ეკა ირემაშვილი

ანა ლაფაჩსა და ნიკა ნიკოლაშვილს

ვულოცავთ გაბედნიერებას!
ვუსურვებთ ბედნიერებას,
ჯანმრთელობასა და გამრავლებას!
ბებო გალინა მარიამიძე, პაპა გიორგი გოგილაშვილი და მთელი ოჯახი

## მამაკაცების განკურნების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის განკურნება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 28 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "ფრანკლინი და ბეში" 07.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. . "ტრიუმფი" 12.20 მხ/ფ "დიასახლისი" (გ.ჰოუნი) 15.00, 02.00 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00, 03.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "შურისძიება" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "ამერიკელები" 00.00 მხ/ფ "მასობრივი მიმზიდველობა" (ჯ.ლემონი)

08.00 დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" 09.00 დ/ფ "ინკების მარილი" 10.00 მხ/ფ "ბიჭუნა წყალზე" 12.00 ტ/სერ. "გულის მუსიკა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 15.00, 18.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "სად ხარ?!" 23.00 "მოამბე" (3 ენებზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ერთი სიყვარულის ამბავი" 11.20 სერ. "სიყვარულის ჟამი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35 სერ. "პატარძალი" 18.50, 19.03 სერ. "ღირსების სახელით" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 23.00 მხ/ფ "რემბო 4" 01.00 მხ/ფ "მცირე განათლება" 03.00 მხ/ფ "ჩაკეტილი წრე"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "წითელი და შავი" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50 სერ. "ოქროს გალია" 19.55, 20.05 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 22.00 ნიჭიერი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ფანზოი და ჩამ-ჩამი" 9.00, 19.00 სერ. "დოქტორი ჰაუსი" 10.00, 18.00 სერ. "სკანდალი" 11.00 სერ. "კერძო პრაქტიკა" 13.00, 1.45 სერ. "კრიმინალური აზროვნება" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 20.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 სერ. "ლურჯის ელფერები" 23.00 სერ. "მისტერ რობოტი" 0.00 მხ/ფ "გაქცევა"

